



საქართველოს სსრ

პოლიტიკური და მეცნიერული  
ცოდნის გამაერცელებელი საზოგადოება

პროფ. ვლ. ჭრენიშვილი

საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის ნაშდვილი წევრი

ჯანმრთელობა, ავაღეულობა  
და გაჯანმრთელება

თბილისი

1955

საქართველოს სსრ პოლიტიკური და განვითარების მოწვევის  
გამარჯვებულებების საზოგადოება

პროფ. ვლ. ქლები

საქართველოს სსრ მეცნიერებათა  
აკადემიის ნამდვილი წევრი

ჯანმრთელობა, ავაღმყოფობა  
და გაჯანმრთელება



თბილისი  
1955

Ց Ա Բ Ա Խ Ե Ս

	83
մոշկլեզ Սուրութեանուն Շյսակեծ . . . . .	4
Հանմիշտեղոնձա . . . . .	9
Ացագմպողոնձա . . . . .	16
Գանցուտարյածա Շեխեդուլեանսա Ացագմպողոնձանց . . . . .	16
Ացագմպողոնձանս Տաճամյաժրոցք Գագյածա . . . . .	25
Ացագմպողոնձանս Մինյենցած Ճա Միսօ Գանցուտարյածանս Մյյանոնմյենց . . . . .	27
Ռարցանոնմյունս Ճացուտա Սամյալեանց . . . . .	33
Ճաացագմպողոցքած Ճա Գայանմիշտեղոնձա . . . . .	37
Հանմիշտեղոնձա Ճա Շլյացընմիշտեղոնձա . . . . .	40

---

ადამიანის ჯანმრთელობა, დაავადების არიდება, დაავადებული ადამიანის გაჯანმრთელება დიდი სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი მნიშვნელობის საქმეა. ჯანმრთელობა აუცილებელია შრომისუნარიანობისათვის, შრომისათვის, რომელმაც შექმნა ადამიანი; შრომა კი ადამიანის არსებობისათვის პირველი და აუცილებელი პირობაა და ის, ი. ბ. სტალინის თქმით, ჩვენს სოციალისტურ სამშობლოში პატივის, დიდების, მამაცობისა და გმირობის საქმეა. ადამიანის ყოველგვარი ჭარმატება, პირადი ბედნიერება განუყრელად არის დაკავშირებული მის ჯანმრთელობასთან. ადამიანი ერიდება ავადმყოფობას, და თუ დაავადმყოფდა, ცდილობს რაც შეიძლება მალე გაჯანმრთელდეს.

ამიტომაა, რომ ჩვენში, კომუნიზმის მშენებელ ქვეყანაში, ეშრომელი ადამიანის ჯანმრთელობა, ავადმყოფობათა წინააღმდეგ ბრძოლა, ავადმყოფთა მკურნალობა, გაჯანმრთელება კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყურადღების ცენტრშია და განსაკუთრებული სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის, მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ორგანიზაციის საგანგებო ზრუნვის საგანს წარმოადგენს. ცხადია, რომ ეს ზრუნვა არსებითად არის ზრუნვა ადამიანზე, რომელიც, ი. ბ. სტალინის თქმით, მსოფლიოში ყველაზე უფრო ძვირფასი კაპიტალია.

ჯანმრთელობა ადამიანისათვის ფასდაუდებელი განძია. ამიტომ სავსებით გასაგებია, რომ ხშირად ვლაპარაკობთ ჯანმრთელობის დაცვასა და შენარჩუნებაზე. ნაცნობებთან თუ მეგობრებთან შეხვედრის დროს, მისალმების შემდეგ, ჩვენში საყოველთაოდ მიღებული მიმართვა: როგორ ბრძანდებით, როგორ გიკითხოთ— უწინარეს ყოვლისა გულისხმობს შეკითხვას მათი ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ. თვითეულ ჩვენგანს ჯანმრთელობა უნდა თავისი თავისათვის და სასიყვარულო და მახლობელ ადამიანთათვის. სხვისაღმი განსაკუთრებულ და საუკეთესო კეთილგანწყობას გამოვხატავთ მისთვის ჯანმრთელობის სურვილით.

მაგრამ, რას წარმოადგენს ჯანმრთელობა, ანუ მისი ტოლ-ვნიშვნელი ჯანსაღობა?

ჯანმრთელობა და ავადმყოფობა, რასაკვირველია, გაჯანმრთელებაც, აბსტრაქტულად (განკუნებულად) არ არსებობს. ისინი განუყრელად დაკავშირებულია სიცოცხლესთან, ცოცხალ ორგანიზმთან, ცოცხალ ადამიანთან. ამიტომ საჭიროა განმარტებულ იქნეს, მოკლედ მაინც, რას წარმოადგენს სიცოცხლე, ცოცხალი ორგანიზმები, რა ადგილი უკავიათ მათ ბუნებაში, როგორ წარმოიშვნენ და განვითარდნენ ისინი. ამის ცოდნის გარეშე არ შეიძლება არც ჯანმრთელობის, არც ავადმყოფობისა და არც გაჯანმრთელების თანამედროვე გაგება.

## მოკლედ სიცოცხლის შესახებ

პირველყოფილი ადამიანი სიცოცხლეს და ნებისმიერ მოძრაობას აიგივებდა, სიცოცხლის ნიშნად ნებისმიერ მოძრაობას თვლიდა.

კაცობრიობის განვითარების ისტორიულ პერიოდში სიცოცხლეზე არსებობდა და ახლაც არსებობს სხვადასხვა შეხედულებანიძირითადად ეს შეხედულებანი ან მატერიალისტურია, ანდა იდეალისტური. სიცოცხლის საკითხში ძველი დროიდან დღემდე გრძელდება ბრძოლა ორ ძირითად ფილოსოფიურ მსოფლმხედველობას— მატერიალიზმსა და იდეალიზმს შორის.

სწორი, საბჭოური, ე. ი. დიალექტიკურ-მატერიალისტური გაებით, სიცოცხლე თავისი ბუნებით მატერიალურია. ის წარმოადგენს მატერიის მოძრაობისა და განვითარების განსაკუთრებულ, უმაღლეს, ურთულეს ფორმას. სიცოცხლეს თავისი საკუთარი, მისთვის დამახასიათებელი ბიოლოგიური კანონზომიერებანი აქვს.

სამართლიანად ამბობენ, რომ სიცოცხლის ამოწურვითი გაგებისათვის აუცილებელია მისი ნიშნების, მის გამოვლინებებთა მთელი სხვადასხვაობის შეცნობა, დაწყებული სიცოცხლის ელემენტური, არაუჯრედოვანი ცოცხალი ნივთიერების ნიშნებით და დამთავრებული მატერიის განვითარების ბიოლოგიური ეტაპის დამაგვირგვინებელი ცხოველებისა და ადამიანის უმაღლესი ნერვული მოქმედების ურთულესი გამოვლინებებით.

ფ. ენგელსი, რომელიც ლრმად ჩაწვდა სიცოცხლის საფუძველს, სიცოცხლის არსს, წერდა: „სიცოცხლე ცილოვან სხეულთა არსებობის წესია, რომლის არსებით მომენტს შეადგენს ნივთიერებათა განუწყვეტელი ცვლა გარემო ბუნებასთან

და ნივთიერებათა ცვლის შეწყვეტისთან ერთად სიცოცხლე წყდება, რაც ცილის დაშლას იწვევს".<sup>1</sup>

ნივთიერებათა ცვლა, ანუ მეტაბოლიზმი ჭარმოადგენს ცოცხალი მატერიის, ცოცხალი ორგანიზმის მუდმივ თვითაღდგენას, თვითგანახლებას. ორგანიზმის ეს მუდმივი თვითაღდგენა, თვითშენახვა ხორციელდება მის შედგენილობაში მყოფ ნივთიერებათა განუყრელად ერთმანეთთან დაკავშირებული სინთეზითა და დაშლით, ორგანიზმის მიერ ირგვლივ მყოფი გარემოსაგან სხვადასხა ნივთიერებათა ათვისებით—ასიმილაციით და საკუთარ ნივთიერებათა დაშლით—დისიმილაციით და გამოყოფით.

სიცოცხლისათვის ისიც ნიშანდობლივია, რომ ის განუყრელ კავშირში, ერთიანობაში სიკვდილი სიცოცხლის უარყოფაა და, ფ. ენგელსის თქმით, „სიცოცხლის უარყოფა არსებითად თვით სიცოცხლეშია... სიკვდილი სიცოცხლეში მუდამ არის ჩანასახის სახით... სიცოცხლე სიკვდილს გულისხმობს“.<sup>2</sup> სიკვდილი—ეს ცოცხალ მატერიაში, ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის შეწყვეტაა:

მაშასადამე, სიცოცხლის საფუძველია ნივთიერებათა ცვლა; სხვანაირად რომ ითქვას, ნივთიერებათა ცვლა ცოცხალი მატერიის, ცოცხალი ორგანიზმის, მისი აღნაგობისა და ფუნქციების საფუძველია.

ორგანიზმის აღნაგობა, ანუ სტრუქტურა (მორფოლოგია) გულისხმობს ორგანიზმის შეუიარაღებელი ან შეიარაღებული თვალით (მიკროსკოპით) დასანახ შენებას. მაღალგანვითარებული ცხოველური ორგანიზმის, მათ შორის აღამიანის ორგანიზმის, შენებაში სტრუქტურის სირთულის კლებადი თანმიმდევრობით მონაწილეობენ ორგანოთა სისტემები, ორგანოები, ქსოვილები, უჯრედებული ნივთიერებანი, რომლებსაც შემდგომ ჩვენ ხშირად აღნიშნავთ ერთი სიტყვით—სტრუქტურები.

ფუნქცია ნიშნავს მუშაობას, მოქმედებას. ორგანიზმში ორგანოთა სხვადასხვა სისტემები და ორგანოები, მოკლედ, სხვადასხვა სტრუქტურები ზედმიწევნით სხვადასხვა ფუნქციას ახორციელებენ, მაგალითად: ორგანიზმის სხვადასხვა ნაწილების გაერთიანება ერთ

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, სახელგამი, 1950, გვ. 312.

<sup>2</sup> იქვე, გვ. 305-306.

მთლიანად და მისი მოქმედების რეგულაცია, ანუ მოწესრიგება (ნერვული სისტემის მიერ), სუნთქვა (სასუნთქიო ორგანოების მიერ), სისხლის მიმოქცევის ორგანოთა (გულისა და სისხლის მიღების მიერ), საჭმლის მონელება (საჭმლის მომნელებელ ორგანოთა მიერ), შარდის გამოყოფა (თირკმელების მიერ) და ბევრი სხვა.

სტრუქტურა და ფუნქცია სიცოცხლის როგორც მოვლენის ორი მხარეა, ისინი ერთიანობაში არიან, მაგრამ პრიმატი მათ შორის ფუნქციას უნდა ეკუთვნოდეს.

იდეალისტური, ანუ ვიტალისტური (ვიტალის—ლათინურად სასიცოცხლოს ნიშნავს) წარმოდგენის მიხედვით, სიცოცხლე რაღაც არამატერიალურის, ზებუნებრივის გამოვლინებაა. სიცოცხლეს, სასიცოცხლო მოვლენებს ვითომდა მართავს, არეგულებს ეს ზებუნებრივი ძალა, რომელსაც ორ ათეულზე მეტი სახელშოდება („საბოლოო მიზეზები“, პნეიმა, ენტელექტია, შეგნებული უკვდავი სული, სასიცოცხლო ძალა და ა. შ.), შინაარსი კი მხოლოდ ერთი—იდეალისტური აქვს. იდეალისტურ შეხედულებას სიცოცხლეზე, ცოცხალი ორგანიზმების წარმოშობასა და განვითარებაზე ფესვები ბიბლიაში აქვს. ამ მცდარი შეხედულების მიხედვით, სიცოცხლე ვითომდა არის რაღაც უზენაესი ძალის, ღმერთის შემოქმედებითი აქტის პროდუქტი, ცოცხალი არსებანი ვითომც შექმნილია ღმერთის მიერ. ზოგიერთი თანამედროვე იდეალისტი, მაგალითად, ე. შრედინგერი, ცდილობს ჭეშმარიტება ფიზიკის ავტორიტეტით დაფაროს და ამბობს, რომ სიცოცხლე—ეს არის „უფლის კვანტური მექანიკის“ მიღწევა, მის მიერ შექმნილი პროდუქტი. ბურუუაზიული ქვეყნების რეაქციულ მეცნიერთა წრეში სიცოცხლის შესახებ გავრცელებული ერთ-ერთი იდეალისტური შეხედულების, ე. შვეისმანიზმ-მორგანიზმის (ავტოგენეზური „მოძღვრების“) მიხედვით, სიცოცხლის საწყისი, სიცოცხლის საფუძველი არის რაღაც მისტიკური იდიოპლაზმა (იდიოკინეზური ფაქტორი, გენები), რომელიც მხოლოდ სასქესო უჯრედების ბირთვების ქრომოსომებშია, მარადიულია, უკვდავია, და ვითარებათა ცვლაში არ მონაწილეობს. ვეისმანისტ—მორგანისტები უარყოფენ გარემოს, ცხოვრების პირობების გავლენას ორგანიზმების ცვალებადობასა და განვითარების პროცესზე, ე. ი. არ ცნობენ ორგანიზმისა და გარემოს ერთიანობას. ისინი ამტკიცებენ ცვალებადობის ავტონომობას (დამოუკიდებლობას). ისინი უარყოფენ ინდივიდურ სიცოცხლეში შე

ქენილი ნიშანთვისებების მემკვიდრეობით გადაცემის შესაძლებლობას, უარყოფენ ჩ. დარვინის მიერ აღმოჩენილ ბუნებრივი შერჩევის შემოქმედებითს როლს სახეობათა შექმნაში.

მარქსამდელი, მექანისტური მატერიალიზმი არ იყო შესაფერისად შეიძარალებული, უძლური იყო სიცოცხლეზე იდეალისტური წარმოდგენის, ანუ ვიტალიზმის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ეს იმიტომ, რომ მარქსამდელ მეტაფიზიკურ მატერიალიზმს მცდარი წარმოდგენა ჰქონდა სიცოცხლეზე, ცოცხალ ორგანიზმზე. ის არ ხედავდა განსხვავებას მექანიკურ, ფიზიკურ, ანდა ქიმიურ პროცესებსა და სიცოცხლეს შორის. მაგალითად, ვირხოვს, რომელზედაც ჩვენ შემდგომშიც გვექნება ლაპარაკი, სიცოცხლე გაგებული ჰქონდა როგორც „მექანიკის განსაკუთრებული ნაირგვარობა“. მექანისტური მატერიალიზმი არ ცნობდა განსხვავებას ორგანიზმსა და მანქანას შორის.

მხოლოდ მარქსისტულ-ლენინურმა, დიალექტიკურმა მატერიალიზმა მოგვცა სიცოცხლის თვისებრივ თავისებურებათა გამოაშკარავების შესაძლებობა. სიცოცხლის დიალექტიკურ-მატერიალისტურმა გაგებამ ნათლად გამოამჯობნა ვიტალიზმის სიყალბე, დაგვანახა, რომ ის არ ასახავს სინამდვილეს.

დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგებით, როგორც უკვე ზემოთ იყო ნათქვამი, სიცოცხლე მატერიალურია, ის მატერიის მოძრაობისა და განვითარების უმაღლესი ფორმაა, და არა რაღაც ზებუნებრივი ძალის გამოვლინება, ზებუნებრივი ძალის შემოქმედებითი აქტის პროცესები. დიალექტიკური მატერიალიზმის გაგებით, სიცოცხლე ისტორიული მოვლენაა, ის მარადიული არ არის. სიცოცხლე, ცოცხალი (ორგანული) მატერიალობრივი არაცოცხალი (არაორგანული) მატერიისაგან, ცოცხალი ბუნება მცენარეები და ცხოველები წარმოიშვა არა ცოცხალი ბუნებისაგან. სხვანაირად, სიცოცხლე, ცოცხალი მატერიალობრივი არაცოცხალი მატერიის ძლიერ ხანგრძლივი განვითარების შედეგს. ოდესლაც შესაფერის პირობებში წარმოშობილი სიცოცხლის პირველადი სუბსტრატის, ცილების შემცველი ცოცხალი ნივთიერების მრავალი მილიონი წლების მანძილზე განვითარებამ ირგვლივ მყოფ მუდმივ ცვალებად პირობებში მოგვცა ცოცხალ არსებათა, ორგანიზმთა ის მეტად დიდი სხვადასხვაობა, რომელიც დედამიწაზეა და რომელიც ადამიანი განვითარების უმაღლეს საფეხურზე დგას.

დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგებით, ანუ, რაც იგივეა, შემოქმედებითი დარვინიზმის, მიჩურინული ბიოლოგიის მიხედვით, სიცოცხლის, ცოცხალი ბუნების განვითარება ხდება უმდაბლესი-დან უმაღლესისაკენ, მარტივიდან რთულისაკენ და ეს განვითარება აიხსნება ბუნებრივი შერჩევით. მიჩურინული ბიოლოგიის მიხედვით, სიცოცხლე, ცოცხალი ორგანიზმი და მისი არსებობისათვის აუცილებელი პირობები განუყრელ ერთიანობაშია, და ამ ერთიანობის საფუძველია ნივთიერებათა ცვლა ორგანიზმსა და გარემოს შორის. ცოცხალი ბუნების, ორგანიზმების განვითარება აიხსნება გარემოს საშუალებით, გარემოსთან ერთიანობით, ორგანიზმსა და გარემოს შორის ნივთიერებათა მუდმივი ცვლით.

ვ. ი. ლენინი ამბობს, რომ „განვითარება არის დაპირისპირებულთა ბრძოლა“.<sup>1</sup> და აი სწორედ ნივთიერებათა ცვლა ორგანიზმში წინააღმდეგობრივი პროცესია, დაპირისპირებულთა — ასიმილაციის (შექმნის) და დისიმილაციის (რღვევის) ერთიანობაა; სწორედ ნივთიერებათა ცვლა წარმოადგენს ახალი ნიშანთვისებების წარმოშობისა და განვითარების საფუძველს, ბრძოლას ძველსა და ახალს შორის, დრომოშემულსა და განვითარებადს შორის. ასე რომ, ორგანიზმის ცვალებადობისა და განვითარების ძირითადი მიზეზია ნივთიერებათა ცვლის ტიპის ცვლილება, რომელიც, წარმოიშობა რა გარე გარემოს ზეგავლენით ორგანიზმის ონტოგენეზში (ინდივიდური განვითარების პროცესში), გადაეცემა მემკვიდრეობით და მაგრა ფილოგენეზში (ისტორიული განვითარების პროცესში).

სიცოცხლეს წარმართავს და ინახავს ზემოდასახელებული დარვინული ბუნებრივი შერჩევა. ბუნებრივი შერჩევით აიხსნება ორგანიზმთა აღნაგობისა და ფუნქციების მიზანშეწონილება, ორგანიზმთა შესატყვისობა, შეგუება (აღაპტაცია) მათი არსებობის პირობებთან. ბუნებრივი შერჩევის შედეგად გარემოს პირობებთან შეგუებული, ორგანიზმები რჩებიან, ინახებიან, შეუგუებელნი კი — ილუპებიან.

მაგრამ საჭიროა აღინიშნოს, რომ თუმცა აღამიანები, ფენგელსის თქმით, „ხორცით, სისხლითა და ტვინით ბუნებას ვეკუთ-

<sup>1</sup> ვ. ი. ლენინი, ფილოსოფიური რვეულები, დიალექტიკის საკითხისათვის, საკ. კ. პ. (ბ) ც. კ.-თან არსებული მარქს—ენგელს—ლენინის ინსტიტუტის გამოცემა (რუსული), 1947 წ., გვ. 327.

ვნით”,<sup>1</sup> მაინც ბუნებრივი შერჩევა ადამიანებზე არ შეიძლება გავრცელდეს. ადამიანი არა მარტო ბიოლოგიური, არამედ იმავე დროს საზოგადოებრივი არსებაც არის. ამიტომ მის განვითარებაში გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს არა გეოგრაფიულ გარემოს, ანდა ბიოლოგიურ ფაქტორებს, არამედ სოციალურს.

სიცოცხლის, ცხოველური ორგანიზმების განვითარების პროცესში მათ გაუჩნდათ ნერვული სისტემა, და მაღალი ცხოველური ორგანიზმების, მათ შორის ადამიანის, განვითარებასა და ირგვლივ მყოფ გარემოსთან შეგუებაში წამყვანი მნიშვნელობა ენიჭება ნერვულ სისტემას. უკვე ენგელსი წერდა, რომ ნერვული სისტემა, გარკვეულ ხარისხამდე განვითარებული, მთელ სხეულს ეუფლება და მას თავისი მოთხოვნილების მიხედვით წარმართავს. ი. პ. პაგლოვის მიხედვით, ცხოველთა განვითარება ხდება ნერვული სისტემის, მისი ფუნქციის განვითარებისა და გართულების გზით და თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქს დამორჩილებული ნერვული სისტემა გადამწყვეტია ირგვლივ მყოფ გარემოსთან ორგანიზმის შეგუებაში, მათ ურთიერთშემოქმედებაში. ი. პ. პაგლოვის მიხედვით, მთელი სიცოცხლე ერთი მიზნის, სახელდობრ, თვით სიცოცხლის დაცვის განხორციელებაა, დაუღალავი მუშაობაა იმისა, რასაც სიცოცხლის ზოგადი ინსტინქტი ეწოდება. სიცოცხლის ეს ზოგადი ინსტინქტი, ანუ სიცოცხლის რეფლექსი, შედგება აუარება ცალკეული რეფლექსებისაგან<sup>2</sup>. სიცოცხლის დაცვა, ცხადია, გულისხმობს ორგანიზმის შეგუებას, გაწონასწორებას გარემოსთან, რაც, როგორც ეს ნათელია ი. პ. პაგლოვის ზემოთქმული ხიტყვებიდან, ხორციელდება ნერვული სისტემის რეფლექსური მოქმედებით.

### ჯანმრთელობა

შეიძლებოდა გვეთიქრა, რომ ასეთი ფართოდ ცნობილი ცნება, როგორიცაა ჯანმრთელობა, სავსებით გარკვეული და ნათელი რამ

<sup>1</sup> ფ. ენგელსი, ბუნების დიალექტიკა, სახელგამი, 1950, გვ. 183.

<sup>2</sup> რეფლექსი—ეს არის ნერვული მოქმედებით განპირობებული ორგანიზმის ავტომატური (უნებური) საპასუხო რეაქცია გარეშე გაღიზიანების მიმართ. არსებობს უპირობო (თანდაყოლილი) და პირობითი (ინდივიდური, სიცოცხლის მიმდინარეობაში შეძენილი) რეფლექსები. პირობითი რეფლექსები, ანუ დროებითი ქავშირები შეიძლება გაქრეს, აღდგეს, დამაგრდეს, აგრეთვე იქცეს უპირობო რეფლექსებად, მუდმივ ქავშირებად, გახდეს მემკვიდრეობით.

არის, რომ შეიძლება მისი მოკლედ და ამასთან ყველასათვის მისაწვდომად განმარტება. მაგრამ ეს ასე არ არის. ამიტომაა, რომ როდესაც საჭიროა ჯანმრთელობის არსის, ჯანმრთელობის ცნების ახსნა-განმარტება, ერიდებიან ამ ცნების განსაზღვრას, დეფინიციას. ჯანმრთელობის ცნების განმარტებისას ჩვეულებრივად აღნიშნავენ მის პირობითობას, ჩამოთვლიან ჯანმრთელობის ნიშნებს, უპირისპირებენ მის ავადმყოფობას და ა. შ.

აღამიანის ჯანმრთელობა, ავადმყოფობა და გაჯანმრთელება უმჭიდრესად არის დაკავშირებული მისი ორგანიზმის სტრუქტურასთან (სტრუქტურებთან) და ფუნქციებთან.

ჯანმრთელობის ცნება, ისე როგორც ავადმყოფობის ცნება, შედარებითი, პირობითია, ჯანმრთელობასა და ავადმყოფობას შორის გადასვლები არსებობს.

ორგანიზმის ჯანმრთელობა გულისხმობს მისი აღნაგობის, სტრუქტურებისა და მოქმედების, ფუნქციების ფიზიოლოგიურ, ე. ი. ნორმულ მდგომარეობას. მაგრამ, როგორ შეიძლება გამოირკვეს, ან რას წარმოადგენს ორგანიზმის ფიზიოლოგიური, ნორმული მდგომარეობა, ფიზიოლოგიური ნორმა?

ზოგნი შესაძლებლად თვლიან ცხოველთა სხვადასხვა სახეობისათვის, მათ შორის აღამიანის სახეობისათვის, ე. ი. აღამიანისათვის სტრუქტურებისა და ფუნქციების საშუალოს დადგენას სტატისტიკური მეთოდით. აი ეს სტატისტიკური საშუალო, სხვანაირად რომ ვთქვათ, სტატისტიკური ნორმა ვითომდა არის ფიზიოლოგიური ნორმა, ე. ი. ჯანმრთელობა.

ცხადია, იგულისხმება, რომ ორგანიზმის ასეთი ფიზიოლოგიური ნორმა, ჯანმრთელობა არის ორგანიზმის კერძო ნორმების, ცალკეული სტრუქტურებისა და ფუნქციების ნორმების გაერთიანება. ორგანიზმის სტრუქტურებისა და ფუნქციების ცალკეული ნორმების ქვეშ იგულისხმება ორგანოთა სისტემების ტლანქი და ნატიფი აღნაგობის, სისხლის რაოდენობის, უჯრედული და ქიმიური შედგენილობის, შარლის რაოდენობისა და ქიმიური შედგენილობის, გულის ცემისა და სუნთქვის სიხშირის, ტემპერატურისა და სხვათა გარკვეული მდგომარეობა.

სტატისტიკური, ვითომდა ფიზიოლოგიური ნორმიდან გადახრა ავადმყოფობად მიაჩნიათ.

მაგრამ ორგანიზმის, სტრუქტურებისა და ფუნქციების აბსო-

ლუტური ნორმა მეტაფიზიკურია, სინამდვილეში არ არსებობს. სინამდვილეში, პრაქტიკაში სტატისტიკური ნორმა გარკვეულ, თუმცა შედარებით ვიწრო, ფარგლებში ინდივიდურად მერყეობს. ამავე დროს არც ისე იშვიათია შემთხვევები, რომლებიც ამ ფარგლებს გარეთაა, მაგრამ მათი არანორმულად, ავადმყოფურად მიჩნევა შეცდომა იქნებოდა. ამიტომ მართებული იქნება, რომ ორგანიზმის ნორმის, ჯანმრთელობის ზემოთ განმარტებული გაგება სწორად არ ჩაითვალოს. მართლაცდა, ჯანმრთელობის გაგება, როგორც ზემოდასახელებული ნორმისა, ეწინააღმდეგება სინამდვილეს, ეწინააღმდეგება ფაქტებს. სწორად აღნიშნავენ, რომ ჯანმრთელობის ასეთი გაგების მიხედვით, ნორმის ფარგლების გარეთ რჩებიან აღამიანები, რომლებსაც აქვთ, ჯერ-ერთი, განსაკუთრებით მძლავრად განვითარებული კუნთოვანი სისტემა, მეორე, ამათუ იმ ინფექციური სნეულების მიმართ მდგრადობა, იმუნიტეტი, მესამე, დაჯილდოებული არიან განსაკუთრებული ნიჭიერებით, და სხვ.

გამოდის, რომ ადამიანთა ეს კატეგორიები არაჯანმრთელად, ავადმყოფებად უნდა ჩაითვალონ. ამავე დროს ცნობილია, რომ ჯანმრთელობა გულისხმობს, როგორც ამაზე ქვემოთ არის ლაპარაკი, ირგვლივ მყოფ გარემოსთან ორგანიზმის შესატყვისობას, შეგუებას, და აი, სწორედ ზემოთ ჩამოთვლილ ადამიანთა კატეგორიები არა მხოლოდ საერთოდ კარგად შეგუებული არიან ირგვლივ მყოფ გარემოსთან, გარემოს პირობებთან, არამედ ასეთ შეგუებაში მათ აქვთ გარკვეული და უდავო უპირატესობანი სხვა ადამიანთა წინაშე.

ზემოთ უკვე იყო ლაპარაკი ირგვლივ მყოფ გარემოსთან ორგანიზმის შეგუებაზე. საქმე ისაა, რომ ორგანიზმის განვითარების პროცესში მის ირგვლივ მყოფ გარემოსთან შეგუების, ანუ, როგორც ხშირად ამბობენ, აღაპტაციის ცოდნის გარეშე, ორგანიზმისა და მისი სიცოცხლისათვის აუცილებელი პირობების ერთიანობის ცოდნის გარეშე არ შეიძლება არც ჯანმრთელობისა და არც ავადმყოფობის სწორად გაგება.

ორგანიზმების შეგუება გარკვეულ ფარგლებში ცვალებად გარემო პირობებთან, ანუ გამლიზიანებლებთან (ირგვლივ მყოფი ტემპერატურა, ატმოსფერული წნევა, სინათლე, ბერა, საკვები, ჰიურობთა საშეფო და სხვ., ადამიანისათვის — პირველ ყოვლისა

სოციალური პირობები) გამომუშავდებოდა მათი განვითარების ძალიან ხანგრძლივი დროის, მილიონობით წლების მანძილზე. ეს შეგუება გამოიხატებოდა ორგანიზმის სტრუქტურებისა და ფუნქციების ისეთი განვითარებით, ევოლუციით ირგვლივ მყოფ ცვალებად გარემოს შესატყვისად, რომელიც უზრუნველყოფდა ორგანიზმის გადარჩენას, შენახვას. ორგანიზმი, რომელიც ვერ ეგუებოდა ცვალებად ირგვლივ მყოფ პირობებს—ვერ გამოიმუშავებდა გარემოს მავნე პირობების გავლენის წინააღმდეგ დამცველ საშუალებებს, ვერ შეიცვლიდა სტრუქტურებსა და ფუნქციებს გარემოს მერყევი პირობების შესაფერისად, როგორც ეს ჩვენ წინათაც ვთქვით, იღუპებოდა.

ახლა ისეა მიჩნეული, რომ ირგვლივ მყოფ გარემოსთან ანუ პირობებთან (გამლიზიანებლებთან) შეგუებული ორგანიზმი, ე. ი. ფიზიოლოგიურად რეგულებული, გარკვეულ ფარგლებში მერყევი სტრუქტურებისა და ფუნქციების მქონე ორგანიზმი, ჩვეულებრივი, ნორმულია, მისი სტრუქტურები და ფუნქციები ჩვეულებრივად, ნორმულად ითვლება. ირგვლივ მყოფი, აგრეთვე გარკვეულ ფარგლებში რაოდენობრივად მერყევი პირობები (გამლიზიანებლები), რომლებთანაც შეგუებულია ორგანიზმი, ე. ი. რომლებიც უზრუნველყოფენ ორგანიზმის არსებობას, შენახვას ცნობილია ჩვეულებრივ, ნორმულ პირობებად.

ყველა ზემოთქმულიდან ისეთი დასკვნა უნდა გაკეთდეს, რომ დიალექტიკურ ერთიანობაში მყოფ ფილოგენეზურ და ონტოგენეზურ განვითარების პროცესში გამომუშავდება აღამიანის ორგანიზმის სტრუქტურებისა და ფუნქციების შედარებით მდგრადი მდგომარეობა, რომელიც თვითეულ ასაკში მცირე, მხოლოდ გარკვეულ ფარგლებში მერყეობს. ეს მტკიცდება თანამედროვე მორფოლოგიისა და ფიზიოლოგიის მიერაც. ამის მიხედვით, ჯანმრთელობა ესმით, როგორც ორგანიზმის სტრუქტურებისა და ფუნქციების შედარებით მდგრადი მდგომარეობა, ანუ ძვრადი წონასწორობა.

სინამდვილესთან უფრო ახლოს არის და უფრო ზუსტია ჯანმრთელობის გაგება ი. პ. პავლოვის მოძღვრების მიხედვით. ჯანმრთელობა—ეს არის თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქით რეგულირებული ნერვული სისტემის მიერ განპირობებული ორგანიზმის გაწონასწორება (ძვრადი წონასწორობა) ირგვლივ მყოფ

ვარემოსთან. ორგანიზმის გაწონასწორება, ძვრადი წონასწორობა მის ირგვლივ მყოფ გარემოსთან გულისხმობს, რომ ჯანმრთელობა არ არის ყოველთვის ერთ მდგომარეობაში მყოფი, სტატიკური რამ, არამედ დინამიკური მოვლენაა. ამავე დროს ორგანიზმის გაწონასწორება ირგვლივ მყოფ გარემოსთან გულისხმობს ორგანიზმის შეგუებას უკანასკნელთან. ამიტომ ადამიანის ჯანმრთელობის ცნებაში სიტყვა გაწონასწორება მოიცავს სრულ შრომისუნარიანობას, რაღანაც, როგორც ზემოთ უკვე ითქვა, შრომა ადამიანის არსებობის პირველი და აუცილებელი პირობაა.

აქამდე ლაპარაკი იყო ჯანმრთელობაზე ზოგადად, ჯანმრთელობის ცნება განხოგადებულად იყო განმარტებული. მაგრამ რით გამოიხატება ის კონკრეტულად, როგორ შეიძლება გამორკვეულ იქნეს თვითეულ შემთხვევაში ადამიანის ჯანმრთელი მდგომარეობა, განსხვავებულ იქნას ეს მდგომარეობა პათოლოგიური მდგომარეობისაგან, ავადმყოფობისაგან? ეს ყოველთვის ადგილი საქმე როდია.

თუ ადამიანი კარგად გრძნობს თავს, ის ვითომდა ჯანმრთელი უნდა იყოს. მაგრამ სინამდვილეში ადამიანის ჯანმრთელობას ყოველთვის როდი მოწმობს თავის კარგად გრძნობა, სუბიექტური, შედარებით დამაკმაყოფილებელი, კარგი მდგომარეობა—სისუსტის გრძნობის, უსიამოვნო შეგრძნებების, უგუნებობის, ტკივილისა და სხვა მისთანათა არ არსებობა.

იქნებ ადამიანი ჯანმრთელი კი არა, ავადმყოფი იყოს, მაგრამ სუბიექტურად ავადმყოფობას არ გრძნობდეს. შეიძლება ასეთი მაგალითი ბევრი დასახელდეს. ინფექციურ სნეულებათა გადატანის შემდეგ ადამიანი არაიშვიათად კარგად გრძნობს თავს, სუბიექტურად სავსებით ჯანმრთელად გრძნობს თავს უფრო ადრე, ვიდრე ამ სნეულებათა მიერ გამოწვეული ორგანიზმის ობიექტური (სტრუქტურული) ცვლილებები გაქრება. ამიტომაა საჭირო ინფექციურ ავადმყოფობათა, მაგალითად, გრიპის და სხვათა, იოლი ფორმების გადატანის შემდეგაც კი თავის მოფრთხილება, შესაფერი რევიმი, სუბიექტური კარგი მდგომარეობის ნაკლები ნდობა. მალარიით, ნიკრისით, ზოგიერთი სხვა ავადმყოფობით შეპყრობილთ შეიძლება. შეტევებს შუა სუბიექტურად არაფერი აწუხებელი, ასევე ათაშანგიან ავადმყოფსაც. ავადმყოფობის ვითომდა ისეთი საიმედო სიგნალის გარეშეც კი, როგორიცაა ტკივილი,

სუბიექტურად შეიძლება ფარულად მიმღინარეობდეს სხვადასხვა-  
და დავადება, მათ შორის სერიოზულიც, მაგალითად, ათეროსკლე-  
როზი, პიპერტონული დაავადება (დასაწყისი სტადია), წლულოვანი  
დაავადება, კიბო და სხვ.

ავადმყოფობის, ზოგჯერ ძალიან სერიოზული ავადმყოფობის  
დროს სუბიექტური მოვლენების არ არსებობა ძირითადად აიხსნე-  
ბა ორგანიზმის დიდი კომპენსაციური უნარით, ე. ი. ავადმყოფო-  
ბით გამოწვეულ დაზიანებათა გამოსწორების, ნაკლთა ანაზღაუ-  
რების დიდი უნარით.

აი, სხვათა შორის, რატომ არის საჭირო თვითეულისათვის,  
რაგინდ კარგად უნდა გრძნობდეს ის თავს, დროდადრო ყოველ-  
მხრივი საეჭიმო გამოკვლევა.

ობიექტური, ზოგჯერ ტლანქი სტრუქტურული (ანატომიური)  
ცვლილებები ორგანიზმში შეიძლება შეთავსდეს ჯანმრთელობასთან,  
არ ლაპარაკობდეს მის წინააღმდეგ. მაგალითად, უფეხო ან უხელო  
ადამიანი ჯანმრთელად ითვლება, და არა ავადმყოფად. ადამიანს  
შეიძლება არ ჰქონდეს ელენთა, ერთი თირკმელი, მაგრამ ის მაინც  
ჯანმრთელად ითვლებოდეს, და არა ავადმყოფად. ამ მიმართულე-  
ბით კიდევ სხვა მაგალითებიც შეიძლება დასახელდეს.

ჯანმრთელობის გამორკვევას ისიც აძნელებს, რომ ერთი და  
იგივე მოვლენა შეიძლება იყოს მაჩვენებელი ფიზიოლოგიური მდგო-  
მარეობისაც, ე. ი. ჯანმრთელობისაც და პათოლოგიური მდგომა-  
რეობისაც, ე. ი. ავადმყოფობისაც. ეს დამოკიდებულია დროზე,  
ადგილზე, პირობებზე, კონკრეტულ შემთხვევაზე.

სისხლის დენა პირველი შეხედვით მხოლოდ დაავადებითი  
მოვლენა. მაგრამ ქალის გარკვეულ ასაკში პერიოდული, დროის  
ცნობილი მონაკვეთების შემდეგ გარკვეული ხანგრძლივობით სისხლ-  
დენა საშვილოსნოდან (თვიური) ფიზიოლოგიური, ჯანმრთელი  
მოვლენაა. იმავე ასაკში ასეთი რეგულური სისხლდენის არ არ-  
სებობა, პირიქით, პათოლოგიური, ავადმყოფური მოვლენაა. სა-  
შვილოსნოდან სისხლდენა ე. წ. კლიმაქტერიის შემდეგ, ქალის  
ხანში შესულ ასაკში, ანორმული მოვლენაა, ავადმყოფობაა.

მოცულობის მომატება, გადიდება შეიძლება იყოს ფიზიოლო-  
გიურიც და პათოლოგიურიც. მაგალითად, საშვილოსნოს გადიდე-  
ბა ორსულობის პერიოდში, ძუძუების გადიდება ორსულობისა და  
მეძუძურობის პერიოდებში ფიზიოლოგიური მოვლენაა. შეშუპებუ-

ლი, ანთებადად დაავადებული და სიმსივნის ადგილმდებარეობის მიღამოები და ორგანოები აგრეთვე დიდდება, მოცულობით მატულობს (შესივდება), მაგრამ აქ გადიდება, მოცულობის მომატება, ცხადია, პათოლოგიური მოვლენაა.

მაჯისა (გულის ცემისა) და სუნთქვის აჩქარება ძლიერი ფიზიკური დაძაბვისას ფიზიოლოგიური მოვლენაა, მაგრამ იგივე სხვა პირობებში, მაგალითად, მშვიდ მდგომარეობაში მყოფი ან მწოლიარე ადამიანისათვის, ავადმყოფობის მაჩვენებელია.

ოფლიანობა სიცხეში ჩვეულებრივი, ფიზიოლოგიური მდგომარეობაა; ოფლიანობა გარემოს ზომიერი ტემპერატურის პირობებში, ანდა სიცივეში პათოლოგიას, დაავადებითს მდგომარეობას წარმოადგენს.

ტკივილები კბილების ამოჭრის დროს, ძუძუებში — მათი განვითარებისას სქესობრივი მომწიფების ასაკში და მშობიარეთა ტკივილები ცნობილი ფიზიოლოგიური მოვლენაა, მაგრამ ამავე დროს ტკივილები არა ნაკლებ ცნობილი პათოლოგიური მოვლენაა და სხვადასხვა დაავადების ერთ-ერთ ფრიად ყურადსალებ გამოვლინებას წარმოადგენს.

პირლებინება, როდესაც კუჭში მავნე შიგთავსია, ფიზიოლოგიური მოვლენაა; პირლებინება, უფრო სწორად, პირლებინებითი მოძრაობანი, როდესაც კუჭი ცარიელია, პათოლოგიურ მოვლენას წარმოადგენს.

ხველება, როდესაც არის რაიმე ამოსახველებელი, ფიზიოლოგიური მოვლენაა; ხველება, როდესაც ამოსახველებელი არაფერია, პათოლოგიურ მოვლენად ითვლება.

მოხუცების მოვლენები მოხუცებულობის ასაკში ფიზიოლოგიურ მოვლენებად ითვლება; იგივე მოვლენები ახალგაზრდა ასაკში, პათოლოგიურია.

ზოგჯერ ვითომდა ყოველმხრივ ჯამრთელი ადამიანის ორგანიზმში ისეთი პათოლოგიური მოვლენები შეიძლება იყოს, რომლებიც გამომჟღავნდება მხოლოდ განსაკუთრებულ პირობებში. ცნობილია, მაგალითად, ე. წ. იდიოსინკრაზია, რომელიც, ალბათ, ალერგიის (ორგანიზმის მგრძნობელობის, რეაქტივობის შეცვლის) ერთ-ერთი სახეა და გამოიხატება ორგანიზმის თავისებური აწეული მგრძნობელობით საკვები (ალიმენტური იდიოსინკრაზია) ან სამკურნალწამლო (მედიკამენტური იდიოსინკრაზია) ნივთიერება.

ბისადმი. იდიოსინკრაზით შეპყრობილ ძღამიანებს საკვების (კი-ბო, ზოგიერთი თევზი, კვერცხი, მარწყვი, ლორის ხორცი, რძე და სხვ.), ანდა სამკურნალწამლო ნივთიერებათა (ქინაქინი, იოდი, ბრომიდი და სხვ.) მიღების შემდეგ უვითარდებათ სხვადასხვა პა-თოლოგიური მოვლენის კომბინაცია, როგორც ზოგადი ხასიათი-სა (კოლაფსი-სისხლის წნევის მკვეთრი დაქვეითება, კრუნჩხვები, თავის ტკივილები და სხვა), ისე ადგილობრივი (კანის ქავილი და გამონაყარი, თვალისა და სასუნთქი გზების გაღიზიანება, პირლე-ბინება, ფალარათი, სახსრების შესივება და მტკივნეულობა და სხვ.).

ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზის ორგანიზმზე მოქმედების მომენტიდან ავადმყოფობის წარმოშობამდე გადის ხან უფრო მო-კლე, ხან უფრო გრძელი დრო, რომელსაც ლატენტური (ფარული), ინფექციური სნეულებების შემთხვევაში უფრო ხშირად ინკუბაციური პერიოდი ეწოდება. ამ პერიოდში აღამიანი პოტენციურად ავად-მყოფია, მის ორგანიზმში ხდება გარკვეული ძვრები, რომლებიც ავადმყოფობის საფუძვლებს ქმნის, ავადმყოფობად გადაიზრდება. ავადმყოფობის ფარულ, ინკუბაციურ პერიოდში აღამიანი სუბიექ-ტურად უგუნდობას ან ავადმყოფობისათვის ჩვეულ სხვა მძიმე მოვლენას შეიძლება არც გრძნობდეს. არსებითად ასეთი აღამიანი არც ჯანმრთელია და არც ავადმყოფი. სავსებით კანონზომიერი იქნება აღამიანის ამგვარი მდგომარეობა ჩავთვალოთ გადასვლად ჯანმრთელობიდან ავადმყოფობაში.

ზემოთ მოყვანილი სულ სხვადასხვა მაგალითის ასეთი შედა-რებით დიდი რაოდენობა ჩვენ განზრახ დავასახელეთ. ჩვენ გვინდა ამ მაგალითების მიხედვით ცხადგვეყო, რომ ჯანმრთელობა, რო-გორც აბსოლუტური რამ, არ არსებობს, რომ ჯანმრთელობის ცნება შედარებითია, ჯანმრთელობის ნიშნები პირობითია, ჯან-მრთელობასა და ავადმყოფობას შორის მკვეთრი საზღვარი არაა, მათ შორის არის გარდამავალი მდგომარეობანი.

### ავადმყოფობა

#### განვითარება შეხედულებისა ავადმყოფობაზე

ავადმყოფობა ისეთივე ძველი მოვლენაა, როგორც ჯანმრთე-ლობა, როგორც სიცოცხლე. ცნობილია, რომ ყოველი ცოცხალი ორგანიზმი, ცხადია აღამიანიც, გარკვეული მიზეზების გამო შეიძ-

ლება დაავადმყოფდეს. მაგრამ რა არის ავადმყოფობა, როგორ უნდა გვესმოდეს ის?

ავადმყოფობის გავება, ავადმყოფობის ცნება სულ სხვადა-სხვანაირი იყო სხვადასხვა ისტორიულ ეპოქაში. კულტურის, მეც-ნიერების განვითარების შესაბამისად ავადმყოფობის ცნება სხვა-დასხვა შინაარსს ღებულობდა, ავადმყოფობის არსის გავება სხვა-დასხვანაირი ხდებოდა.

უძველესი დროის, პირველყოფილ ადამიანს ავადმყოფობაზე ისეთივე არასწორი, ყალბი წარმოდგენა ჰქონდა, როგორც ბუნე-ბის სხვა მოვლენებზე. იგი ბუნების სხვადასხვა მოვლენებს, მათ შორის ავადმყოფობასაც, ხსნიდა სუპრანატურული (ზებუნებრივი) უხილავი ძალების მოქმედებით. ავადმყოფობის მიზეზად იმდროინ-დელი იდამიანი თვლიდა ზებუნებრივ არსებებს—ბოროტ (ავ) სუ-ლებს, ანუ დემონებს, ანდა გრძნეულ (ჯადოსან) ადამიანებს. ავად-მყოფობაზე ამ ყალბი, მისტიკური შეხედულების მიხედვით, რომე-ლიც ცნობილია დემონიზმის სახელით, სხვადასხვა ავადმყოფობას ვითომდა იწვევდა სხვადასხვა დემონი, რომელიც, შეიძრებოდა რა ორგანიზმში, ებრძოდა, აწუხებდა და აწვალებდა მას. საინტერე-სოა, რომ ავადმყოფობაზე ასეთ გულუბრყვილო და პრიმიტულ წარმოდგენასთან იყო დაკავშირებული ავადმყოფთა იმდროინდელი მკურნალობისა და ავადმყოფობის აცილების წესები: მისწრაფება ორგანიზმიდან დემონის გამოდენისა დაშინებით, შელოცვებით, სხვადასხვა მისტიკური ხერხებით; ბოროტი ადამიანის მომადლიე-რება საჩუქრებით; სხვადასხვა საგნის ტარება ავგაროზების სახით, რომლებიც ვითომდა იცავდა ადამიანს ბოროტი სულებისაგან, ავადმყოფობისაგან.

მომდევნო ისტორიულ ეპოქებში ავადმყოფობაზე წარმოდგე-ნის განვითარება განცალკევებულად კი არ ხდებოდა, არამედ განუყრელად იყო დაკავშირებული სიცოცხლეზე ფილოსოფიური წარმოდგენის განვითარებასთან, ფილოსოფიის განვითარებასთან. ფილოსოფიის განვითარება კი, როგორც ცნობილია, განპირობე-ბულია კაცობრიობის ისტორიაში საზოგადოებრივ-ეკონომიკურ წყობათა განვითარებითა და შეცვლით, უდიდესი საზოგადოებრივ-ეკონომიკური პროგრესული ძვრებით, საზოგადოებრივი პრაქ-ტიკით.

ხაზგასასმელია, რომ კაცობრიობის მთელი ისტორიის მანძილზე

ავადმყოფობის, მისი არსის გაგებაში, ისე როგორც სიცოცხლის გაგებაში ერთიმეორეს ებრძვიან მატერიალისტური და იდეალისტური მსოფლმხედველობანი, მატერიალიზმი და იდეალიზმი. ხაზგასასმელია ისიც, რომ ავადმყოფობის მატერიალისტური გაგება ხელს უწყობდა ავადმყოფობის სწორ შესწავლას, პროფილაქტიკისა (ავადმყოფობის არიდებისა) და თერაპიის (მკურნალობის) წინსვლას, განვითარებას; პირიქით, ავადმყოფობის იდეალისტური გაგება აბრკოლებდა ავადმყოფობის სწორი მიღვომით შესწავლას, მას არათუ არავითარი სარგებლობა არ მოუტანია პროფილაქტიკისა და თერაპიისათვის, არამედ აბრკოლებდა მათ განვითარებას.

ავადმყოფობის მატერიალისტური გაგების ფესვები უნდა ვეძიოთ ძველ მონათმფლობელურ აღმოსავლეთში — ჩინეთში, ინდოეთში, შემდეგ ბაბილონში, ეგვიპტეში. ჩინეთში, ინდოეთში ჯერ კიდევ ხუთი ათასი წლის წინ პირველად წარმოიშვა მატერიალისტური მსოფლმხედველობა და პირველად ჩაისახა მედიცინაც. ძველი აღმოსავლური მატერიალიზმის მიხედვით, მთელი ბუნება, ცოცხალი ორგანიზმის ჩათვლით, შედგება მიწისა, წყლისა, ცეცხლისა (მზის სითბოსა) და ჰაერისაგან (ანდა მიწისა, ცეცხლისა, ლითონისა და ხისგან), და ავადმყოფობა არის ორგანიზმის ამ ძირითად შემაღენელ ნაწილთა ურთიერთზემოქმედების დარღვევა.

ძველი აღმოსავლეთიდან მატერიალისტური მსოფლმხედველობა და ავადმყოფობის მატერიალისტური გაგება გავრცელდა ძველ მონათმფლობელურ საბერძნეთში, შემდეგ მონათმფლობელურ რომში. მაგრამ ძველ საბერძნეთში, ანტიკური მატერიალიზმის განსაკუთრებული განვითარების ქვეყანაში, ცხოველური, კერძოდ ადამიანის ორგანიზმის ძირითად შემაღენელ ნაწილებად ითვლებოდა 4 თხიერი სუბსტანცია (ნივთიერება) — სისხლი, ლორწო, ყვითელი და შავი ნალველი (ვენური სისხლი). ამ ოთხი თხიერი სუბსტანციის სისუფთავე, მათი ერთმანეთთან წესიერი და პროპორციული არევა (ე. წ. კრაზი) ვითომდა საფუძველი იყო ჯანმრთელობისა; პირიქით, ამ სუბსტანციების უსუფთაობა, ერთმანეთში არაწესიერი და არაპროპორციული არევა (ე. წ. დისკრაზია) წარმოადგენდა ავადმყოფობას. ავადმყოფობაზე, მის არსზე ასეთი შეხედულება წარმოიშვა დაახლოებით 400 წლის წინ ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე და ის ცნობილია როგორც პუმორული შეხედულება, ანუ ჰუმორიზმი (ბერძნულად ჰუმორ სითხეს ნიშნავს).

ჰუმორიზმის მიმღევარი იყო ძველი საბერძნეთის დიდი ექიმი ჰიპოკრატე, ძველი რომის ცნობილი ექიმი გალენი. რამდენადმე სახე-შეცვლილმა ჰუმორიზმა მე-19 საუკუნემდე მოალწია.

ძველ მონათმფლობელურ საბერძნეთშივე ანტიკური მატერიალიზმის ხანაში, დაახლოებით 200 წლის წინ ჩვენი წელთაღრიცხვის დაწყებამდე, წარმოიშვა ავადმყოფობის ჰუმორული გაგების მოპირდაპირე გაგება—სოლიდიზმი (ბერძნულად სოლიდუს ნიშნავს მკვრივს), რომელიც დაკავშირებული იყო დიდი ფილოსოფოსის დემოკრიტეს ატომისტურ ჰიპოთეზთან. სოლიდიზმის, ანუ სოლიდური შეხედულების მიხედვით, ცოცხალი ორგანიზმი შედგება ელემენტური მკვრივი ნაწილებისაგან (ატომებისაგან), რომელთა წესიერი ურთიერთგანლაგება და ურთიერთდამოკიდებულება ჯანმრთელობის საფუძველია; მკვრივი ნაწილების ურთიერთგანლაგებისა და ურთიერთდამოკიდებულების შეცვლა-გაფაშრება, ანდა შემჭიდროება წარმოადგენს ავადმყოფობის საფუძველს, გამოვლინდება როგორც ავადმყოფობა. სახე-შეცვლილად სოლიდიზმი ე. წ. ორგანიციზმის, შემდეგ ცელულიზმის სახით განახლებულ იქნა მე-18 და მე-19 საუკუნეებში, რაზედაც ლაპარაკი იქნება ქვემოთ.

ზემოთ განმარტებული ჰუმორიზმი და სოლიდიზმი, ცხადია, არ ასახავენ სინამდვილეს; ავადმყოფობაზე ჰუმორული და სოლიდური წარმოდგენები სწორი არ არის. მაგრამ ისინი დიდი ნაბიჯია წინ მისტიკურ ტლანქ იდეალისტურ დემონიზმთან შედარებით, რადგანაც თავის საფუძველში ორივე მატერიალისტურია, თუმცა გულუბრყვილო და პრიმიტიული. ეს გასაგებიცაა, რადგანაც, როგორც ცნობილია, ანტიკური მატერიალიზმი არასაკმაოდ იცნობდა ობიექტურ სინამდვილეს. კერძოდ, ანტიკური მატერიალიზმის ზანაში სრულიად არასაკმაოდ იყო ცნობილი ცოცხალი ბუნების, სალი და ავადმყოფი ორგანიზმების აღნაგობა და ფუნქციები, მათში მიმდინარე რთული ბიოფიზიკური და ბიოქიმიური პროცესები.

ძველ საბერძნეთშივე პლატონის იდეალისტურ ფილოსოფიასთან დაკავშირებით წარმოიშვა ყალბი იდეალისტური წარმოდგენა, ვითომდა თვითეულ აღამიანში სუფევს მსოფლიო სულის, ე. წ. პნეიმის (პნეიმა ვითომდა ჰაერშია უხილავი ნივთიერების სახით) ნაწილი, რომელიც განაპირობებს სიცოცხლეს, ჯანმრთელობას. პნეიმის ცვლილებანი ვითომდა ავადმყოფობის საფუძველს წარ-

მოადგენენ. ავადმყოფობის პნეიმური გაგება, ცხადია, იდეალისტური, ვიტალისტურია.

ავადმყოფობაზე ვიტალისტურმა შეხედულებამ, ვიტალიზმა ავადმყოფობის გაგებაში სხვადასხვა სახეცვლილებებით, მაგრამ ცხადი იდეალისტური არსით, დღემდე მოაღწია კაპიტალისტურ ქვეყნებში.

შუა საუკუნეების ფეოდალური, ბატონიური საზოგადოებრივი წყობის ეპოქაში, მონათმფლობელური (ანტიკური) საზოგადოებრივი წყობის კრიზისის, ძველი ბერძნული და ძველი რომაული კულტურის დაცემის შემდეგ, გაბატონდა რელიგიურ-იდეალისტური მსოფლმხედველობა, დამყარდა ეკლესიის სულიერი დიქტატურა. ქრისტიანული სარწმუნოება, მაჰმადიანური და სხვა სარწმუნოებანი სასტიკად დევნიდნენ მატერიალიზმს. ამიტომ თითქმის 15 საუკუნის მანძილზე დასავლეთ ევროპაში უფრო გავრცელებული და გაბატონებული იყო სხვადასხვა იდეალისტური წარმოდგენები ავადმყოფობაზე: ავადმყოფობის გაგება, როგორც ორგანიზმზე ბოროტი სულების მოქმედებისა, ანდა, როგორც სიცოცხლის სულის ცვლილებებისა; უფრო მოგვიანებით (მე-16 საუკუნეში)—ავადმყოფობის გაგება, როგორც ორგანიზმის პროცესების მარეგულებელი უზენაესი საწყისის, სიცოცხლის სულის (არქეუსის) შესუსტება (პარაცელსი), ანდა, კიდევ უფრო მოგვიანებით (მე-17 და მე-18 საუკუნეში)—ანიმიზმი (ბერძნულად ანიმა სულს ნიშნავს), რომლის მიხედვითაც არქეუსის ადგილი უკვდავ შეგნებულ სულს უკავია (შტალი). მიუხედავად ზემოთქმულისა, შუა საუკუნეებში არსებობდა ავადმყოფობის მატერიალისტურად გაგების ტენდენციები, განსაკუთრებით აღმოსავლურ ქვეყნებში. ეს ტენდენციები დაკავშირებული იყო ტაჯიკელ ექიმ-ფილოსოფოს აბუ-ალი იბნ-სინას (ავიცენა 980 — 1037) მოღვაწეობასთან და მის ცნობილ ნაშრომებთან, რომელთა მიხედვით, ავადმყოფობის არსი მდგომარეობს ორგანიზმის ოთხი თხიერი სუბსტანციის წონასწორობის დარღვევაში. შუა საუკუნეების საქართველოში ავადმყოფობის გაგება მჭიდროდ იყო დაკავშირებული ავადმყოფობის ძველ ბერძნულ-რომაულ გაგებასთან.

შუა საუკუნეების დასასრულს და ახალი საუკუნეების დამდეგს, ფეოდალური საზოგადოების რღვევის დაწყებისა და წარმოების კაპიტალისტური წესის შემოღების შემდეგ, კაპიტალისტური წარმოე-

პის განვითარების მოთხოვნილებებთან დაკავშირებით საფუძვლები ჩაეყარა საბუნებისმეტყველო მეცნიერებებს — მექანიკას, ფიზიკას, ქიმიას. სწორედ ეს უკანასკნელი გახდნენ იმ დროში წარმოშობილი მეტაფიზიკური მექანისტური მატერიალიზმის საბუნებისმეტყველო-მეცნიერული საფუძველი.

მოწინავე ბურუუაზიულ მოაზროვნეთა ხელში მექანისტურ-მატერიალისტური იდეოლოგია ბრძოლის იარაღი გახდა შუა საუკუნეების იდეალისტური იდეოლოგიის წინააღმდეგ, რომელიც ხელს უშლიდა, აბრკოლებდა კაპიტალისტური წარმოებისა და მეცნიერების განვითარებას.

სწორედ ამ მექანისტური მატერიალიზმის საფუძველზე შუა საუკუნეების დამლევს (მე-17 საუკუნეში) წარმოიშვა ავადმყოფობაზე იათროფიზიკური (ბერძნულად იათროს ექიმს ნიშნავს) და იათროქიმიური წარმოდგენები. იათროფიზიკური (იათრომექანიკური) წარმოდგენით, ცოცხალი ორგანიზმი თვითმოქმედი მანქანაა, მისი მოქმედების კანონები იგივეა, რაც მექანიკის, ფიზიკის, ჰიდრავლიკისა და სტატიკის კანონები, და ავადმყოფობა არის ორგანიზმში შემავალი ნაწილების გადაბმულობის დარღვევა. იათროქიმიური წარმოდგენით, ცოცხალი ორგანიზმის კანონები — ეს ქიმიური კანონებია, ავადმყოფობის საფუძველი კი — ორგანიზმის სითხეების ქიმიური ცვლილებანი.

ავადმყოფობის იათროფიზიკური და იათროქიმიური გაგებანი მატერიალისტური გაგებანია, მაგრამ ისინი მეტაფიზიკური, მექანისტურ-მატერიალისტურია. ეს იმიტომ, რომ იათროფიზიკები და იათროქიმიკები უგულებელყოფდნენ, არ იცნობდნენ ცოცხალი მატერიის, მთლიანი ორგანიზმის სპეციფიკურ კანონზომიერებებს. მარტოდენ ფიზიკურ და ქიმიურ კანონზომიერებათა საფუძველზე, თუმცა მათ ზართლაც აქვთ აღგილი ცოცხალ ორგანიზმში, არ შეიძლება არც ჯანმრთელობისა და არც ავადმყოფობის ახსნა, რადგანაც ეს კანონზომიერებანი იქ ექვემდებარებიან უფრო მაღალ, ბიოლოგიურ კანონზომიერებებს.

ავადმყოფობაზე მატერიალისტური შეხედულების განვითარებას ხელი შეუწყო შუა საუკუნეების დამლევს და ახალი საუკუნეების დასაწყისს ანატომიის, პათოლოგიური ანატომიისა და ფიზიოლოგიის, შემდეგ კი საზოგადოდ ცოცხალ ბუნებაზე მეცნიერების (ბიოლოგიის) საფუძვლების ჩაყრამ. მომდევნო (მე-19 და მე-20)

საუკუნეებში იმავე საქმეს ხელი შეუწყო ბიოლოგიის (აგრეთვე მასში შემავალი ანატომიისა და ფიზიოლოგიის) და პათოლოგიური ანატომიის სწრაფმა განვითარებამ, პათოლოგიური ფიზიოლოგიის ჩამოყალიბებამ და განვითარებამ. ყოველივე ამას, თავის მხრივ, ფრიად შეუწყო ხელი მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის განვითარებამ, ოპტიკური და ქიმიური მრეწველობის ჩამოყალიბებამ და განვითარებამ—მიკროსკოპისა და სხვა სამეცნიერო იარაღების, სხვადასხვა ქიმიკალების (ქიმიურ პროდუქტთა) და სალებავების გამოყენებამ მეცნიერულ კვლევა-ძებაში.

მაგალითად, მე-18 საუკუნეში, ნერვულ-კუნთოვან ფიზიოლოგიის დარგში მომხდარი აღმოჩენების (ჰილერისა და გალვანის) მიხედვით, ავადმყოფობის საფუძვლად ზოგიერთნი თვლილნენ ნერვული აგზნებადობის ცვლილებებს. იმავე საუკუნეში, პათოლოგიური ანატომიის მიღწევების მიხედვით, იტალიელმა ექიმ-მეცნიერმა მორგანმა ავადმყოფობის საფუძვლად მიიჩნია ადამიანის სხეულის ორგანოების ანატომიური, მატერიალური ცვლილებანი. მაგრამ მორგანი შეცდა იმაში, რომ მან ავადმყოფობა დაუკავშირა არა მთლიან ორგანიზმს, არამედ ცალკეულ ორგანოთა, ადგილობრივ ცვლილებებს, რითაც მიეცა დასაწყისი ავადმყოფობაზე მცდარ, ე.წ. ორგანოლოკალისტურ (ლათინურად ლოკალის ადგილობრივს ნიშნავს) წარმოდგენას, ორგანიციზმს, რომელიც შემდეგ, მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში, გერმანელმა ექიმ-მეცნიერმა რუდოლფ ვირხოვმა უკიდურესობამდე მიიყვანა.

ვირხოვმა ისარგებლი ცოცხალი ბუნების, ორგანიზმის უჯრედოვანი შენების აღმოჩენით და ავადმყოფობის საფუძვლად აღიარა უჯრედების ცვლილებანი, რითაც აღადგინა ძველი საუკუნეების სოლიდიზმი. მაგრამ მას არასწორი წარმოდგენანი ჰქონდა ბიოლოგიაზე, სიცოცხლეზე, ცოცხალი ბუნების განვითარებაზე, უჯრედზე, როგორც ორგანიზმზე და ნერვული სისტემის დანიშნულებაზე.

სიცოცხლე ვირხოვს, როგორც უკვე ზემოთ იყო ნათქვამი, ესმოდა მექანისტურად; მას მექანისტურიდ ესმოდა ბიოლოგია და პათოლოგია. სიცოცხლის ბიოლოგიისა და პათოლოგიის მექანისტურმა, მეტაფიზიკურმა გავებამ ის მიიყვანა ვიტალიზმამდე.

ვირხოვი არ ცნობდა პრინციპულ, თვისებრივ განსხვავებას ცოცხალ და არაცოცხალ ბუნებას შორის. უჯრედს ვირხოვმა გამდლობა, პრიმატობა მიაკუთვნა ბიოლოგიაში, უჯრედული

პრინციპი დაუდო საფუძვლად ბიოლოგიას. უჯრედი, მისი აზრით, სიცოცხლის ერთადერთი მატარებელია, ერთადერთი ფორმა; ამავე დროს უჯრედი სიცოცხლის უკანასკნელი მორფოლოგიური ელემენტია, რომელსაც ცხოველმოქმედების უნარი აქვს. ეს, ცხადია, სინამდვილეს არ შეესაბამება. ცნობილია, რომ უჯრედი ცოცხალი მატერიის განვითარების მხოლოდ ერთ-ერთი საფეხურია. არსებობს სიცოცხლის არაუჯრედოვანი ფორმები (მაგალითად, ინფუზორიები) და უჯრედამდელი ფორმები (მაგალითად, ვირუსები).

ვირხოვი უარყოფდა სიცოცხლის, ცოცხალი მატერიის განვითარების პრინციპს, უარყოფდა ცოცხალი მატერიის ერთი ფორმიდან მეორე ფორმაში გადასვლას, არაუჯრედოვანი ფორმიდან უჯრედოვან ფორმაში გადასვლას. მისი აზრით, უჯრედი მხოლოდ ერთხელ გაჩნდა დედამიწაზე და მას შემდეგ ყოველი უჯრედი მხოლოდ უჯრედიდან, უჯრედის დაყოფით წარმოიშობა. ვირხოვის ასეთი შეხედულება, რასაკვირველია, მცდარია. ო. ბ. ლეპეშინსკიამ ცხადყო, რომ უჯრედების წარმოიშობა, გამრავლება ხდება არა მარტო უჯრედის დაყოფის საშუალებით, არამედ ცოცხალი არაუჯრედოვანი ნივთიერებისგანაც.

ვირხოვი უარყოფდა რთული ორგანიზმის მთლიანობას და ერთიანობას, არ ცნობდა, რომ რთული ორგანიზმი ერთიანი ცოცხალი სისტემაა. მისი აზრით, რთული ორგანიზმი, ვთქვათ ადამიანის ორგანიზმი, სხვადასხვა ნაწილების მექანიკური შეერთებაა, უჯრედთა უბრალო ჯამია, უჯრედთა ტერიტორიების ფედერაციაა.

ვირხოვი უარყოფდა ნერვული სისტემის წამყვან მნიშვნელობას მაღალგანვითარებულ ცხოველთა, მათ შორის ადამიანის, ორგანიზმის ცხოველმოქმედებაში. ის, არ ცნობდა რა ორგანიზმის მთლიანობას და ერთიანობას, უგულებელყოფდა ორგანიზმის მთლიანობაში, მისი ნაწილების ერთ მთლიან ცოცხალ სისტემად გაერთიანებაში ნერვული სისტემის, პირველ ყოვლისა თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქის გადამწყვეტ მნიშვნელობას.

სულ სხვა, მოპირდაპირე შეხედულების იყვნენ რთულ ორგანიზმები და ნერვულ სისტემაზე რუსული მატერიალისტური ფილოსოფიის წარმომადგენლები (ა. გერცენი, ნ. ჩერნიშევსკი, დ. ლომროლუბოვი, დ. პისარევი). ისინი აღიარებდნენ, რომ ორგანიზმი მთლიანია და ეს მთლიანობა განპირობდება ნერვული სისტემით,

რომ ორგანიზმი ერთიანობაშია გარემოსთან. ვირხოვის მიერ ნერ-ვული სისტემის მნიშვნელობის შეუფასებლობა ეწინააღმდეგება ენგელსის სიტყვებს, რომ მაღალგანვითარებულ ორგანიზმში ნერვული სისტემა „ორგანიზაციის საფუძველია“.

ახლა ფართოდ ცნობილია, რომ ნერვული სისტემით განპირობებული ორგანიზმის მთლიანობა და ორგანიზმისა და მის ირგვლივ მყოფი გარემოს ერთიანობა საბუნებისმეტყველო მეცნიერული თვალსაზრისით ბრწყინვალედ დაასაბუთეს რუსმა მეცნიერებმა—ი. სეჩენოვმა, ს. ბოტკინმა, ი. პავლოვმა და ი. მიჩურინმა.

მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზმის მთლიანობის ზემოთ განმარტებული სამამულო დიალექტიკურ-მატერიალისტური გაგება სულ სხვაა, ვიდრე ორგანიზმის მთლიანობის ბურუუზიული, იდეალისტური გაგება, რომლის მიხედვით ორგანიზმის მთლიანობა არა ნერვული სისტემით, არამედ რაღაც „მიზნით“ არის განპირობებული, ეს მთლიანი თავისთავშია ჩაკეტილი, უცვლელია და ერთიანობაში კი არ არის გარემოსთან, არაშედ მისგან სრულიად დამოუკიდებელია.

ვირხოვმა თავის მცდარი უჯრედული პრინციპი ბიოლოგიდან გადაიტანა პათოლოგიაში, მედიცინაში და უჯრედების ცვლილებები, როგორც ზემოთ უკვე იყო აღნიშნული, აღიარა ავადმყოფობის საფუძვლად. ის წერდა, რომ „ყოველი ავადმყოფობა ყოველთვის წარმოადგენს უჯრედოვან ტერიტორიათა ცვლილებების ჯამს“. ვირხოვი ყოველი ავადმყოფობის საფუძვლად თვლიდა არა მთელი, მთლიანი ორგანიზმის ცვლილებებს, არამედ ადგილობრივ, უჯრედთა ცალკეული ტერიტორიების ცვლილებებს, აღიარებდა ავადმყოფობის ვიწრო ლოკალისტურ გაგებას. ვირხოვის მიხედვით, დაავადება ორგანიზმი არა ზოგადი, მთელი ორგანიზმის დამზიანებელი მოვლენაა, არამედ ორგანიზმის მხოლოდ ამა თუ იმ ნაწილის დაზიანებაა, ადგილობრივი მოვლენაა. ეს, რასაკვირველია, სწორი არ არის. ავადმყოფობის დროს, მართალია, ავადმყოფური ცვლილებები ხშირად უფრო გამოხატულია ამა თუ იმ ორგანოში. ვთქვათ, მაგალითად, გულში, ფილტვებში ან სხვა ორგანოში, მაგრამ პათოლოგიურად, ავადმყოფურად შეცვლილი ორგანო ნერვულრეფლექსურად მოქმედებს მთელ თავისთავშე და ცვლის მას. პირიქით, თავის მხრივ, მთლიანი ორგანიზმის მდგომარეობა დაავადებულ ორგანოზე იმავე ნერვულრეფლექსური მო-

ქმედებით განაპირობებს ორგანოში ავადმყოფური პროცესის მიმდინარეობის ხასიათს—სიმსუბუქეს თუ სიმძიმეს. ავადმყოფობის გაგებას, როგორც ზოგადი მოვლენის გაგებას ორგანიზმში, გარდა თეორიული მნიშვნელობისა, აქვს დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა: აუცილებელია არა მხოლოდ დაავადებული ორგანოს მკურნალობა, არამედ ასევე აუცილებელია მთლიანი ორგანიზმის, ავადმყოფის მკურნალობა.

ავადმყოფობის ვირხოვული არასწორი გაგება ბატონიბდა მთელ მსოფლიოში თითქმის 100 წლის მანძილზე და ახლაც ბატონობს ბურუუაზიულ ქვეყნებში. მხოლოდ საბჭოთა კავშირში იქნა უკუგდებული ავადმყოფობის მანკიერი ვირხოვული გაგება შემოქმედებითი დარვინიზმის—მიჩურინის მოძღვრებისა და პავლოვის მოძღვრების საფუძველზე.

ავადმყოფობის სწორი გაგება შესაძლებელია მხოლოდ მარქსისტულ-ლენინურ ფილოსოფიის საფუძველზე, იდეურ-მეთოდოლოგიურად ერთიანი დიალექტიკურ-მატერიალისტური მიჩურინული ბიოლოგიისა და პავლოვური ფიზიოლოგიის საფუძველზე.

### ავადმყოფობის თანამედროვე გაგება

ავადმყოფობის საბჭოური, პავლოვური გაგება გამომდინარეობს ი. პ. პავლოვის იმ სწორი დებულებიდან, რომ ნერვული სისტემით, თავის ტვინის ქერქის მეთაურობით მოქმედი ნერვული სისტემით, ნერვულრეფლექსური (უპირობო და პირობითი) მოქმედებით ხორციელდება მაღალი ცხოველური ორგანიზმის, ერთის მხრივ, მთლიანობა და ერთიანობა და, მეორე მხრივ, გაწონასწორება ირგვლივ მყოფ გარემოსთან, მათი ურთიერთხემოქმედება.

ავადმყოფობის პავლოვურად გაგების სწორი წინაპირობები და აქედან გამომდინარე ავადმყოფობის სწორი გაგება უკუაგდებს ავადმყოფობის ვირხოვული გაგების არასწორ წინაპირობებს და მათგან გამომდინარე ავადმყოფობის არასწორ გაგებას. ეს სავსებით ცხადია ქვემოთ ნათქვამიდან.

პავლოვის მიხედვით, მაღალი ცხოველური ორგანიზმის პრინციპი რეფლექსური პრინციპია, და არა უჯრედული პრინციპი, არა უჯრედული პრიმატი, როგორც ამას ვირხოვი ამტკიცებდა. პავლოვის მიხედვით, ავადმყოფობის ელემენტი პირველ ყოვლისა შეცვლილი, პათოლოგიური რეფლექსია, ავადმყოფობა ორგანიზმის ფუნქციათა ფიზიოლოგიური რეგულაციის მოშლაა, ორგანიზმის ფუნქციათა პათოლოგიური რეგულა-

ციაა; ვირხოვის მიხედვით, ავადმყოფობის ელემენტი შეცვლილი პათოლოგიური უჯრედია, ავადმყოფობა ორგანიზმის პათოლოგიურად შეცვლილ უჯრედთა უბრალო ჯამია. პავლოვის მიხედვით, ავადმყოფობა ორგანიზმში ზოგადი მოვლენაა, წვდება მთელ ორგანიზმს; ვირხოვის მიხედვით, ავადმყოფობა უჯრედთა ცალკეული ტერიტორიების, ცალკეული ორგანოების პათოლოგიური ცვლილებანია, ავადმყოფობა ორგანიზმში ადგილობრივი მოვლენაა.

პავლოვის მიხედვით, ავადმყოფობა ირგვლივ მყოფ გარემოსთან მთლიანი ორგანიზმის გაწონასწორების დარღვევაა; ვირხოვი არ ცნობდა არც ორგანიზმის მთლიანობას და არც ორგანიზმისა და მის ირგვლივ მყოფი გარემოს ერთიანობას, რომლის საფუძველზედაც შესაძლებელია გარემოსთან ორგანიზმის გაწონასწორების დარღვევაზე ლაპარაკი.

ხაზი უნდა გაესვას, რომ ავადმყოფობის პავლოვური გაგება ითვალისწინებს კიდევ პრინციპული მნიშვნელობის სხვა მოვლენებს, რომლებსაც ადგილი აქვს ავადმყოფობის დროს და რომლებსაც ვირხოვი არ იცნობდა. ასეთია ნერვულრეფლექსური მოქმედებით გამოწვეული ფიზიოლოგიური დაცვითი მოვლენები. ამგვარი მოვლენები სხვადასხვანაირია. პირველ ყოვლისა არსებობს, როგორც ი. პ. პავლოვი ამბობდა, „ავადმყოფობის საწინააღმდეგო ფიზიოლოგიური ზომა“. უკანასკნელი იმაში მდგომარეობს, რომ ავადმყოფობის გამომწვევი აგენტის ზემოქმედებისას ორგანიზმი, რათა შეინარჩუნოს გარემოსთან გაწონასწორება, ჯანმრთელობა, მავნე აგენტის წინააღმდეგ — მისი მოშორებისათვის, გაუვნებლებისათვის — ავტომატურად, ნერვულრეფლექსურად აამოძრავებს შესაფერ ფიზიოლოგიურ მექანიზმებს, ახორციელებს მავნე აგენტის საწინააღმდეგო ზომებს. შემდგომი ფიზიოლოგიური დაცვითი მოვლენა გამოიხატება იმით, რომ, თუ ორგანიზმი დაავადმყოფდა, აგრეთვე ნერვულრეფლექსურად ხდება არსებითად ზოგადი მოვლენის, ე. ი. ავადმყოფობის დალოკალება — ადგილობრივად გარდაქმნა, სიგრცობრივად შემოფარგვლა ამა თუ იმ ადგილობრივი პათოლოგიური პროცესის სახით. ეს ორგანიზმის გადარჩენისათვის ფრიად ხელსაყრელია. ამას გარდა, აგრეთვე ნერვულრეფლექსურად ხდება ავადმყოფობის შედეგად ორგანიზმის დაზიანებული და დაკარგული სტრუქტურებისა და ფუნქციების აღდგენა, ანაზღაურება, ანუ კომპენსაცია. ავადმყოფობის დროს არსებულ ორგანიზმის ფიზიო-

ლოგიურ დაცვის მოვლენებზე ჩვენ კიდევ მოგვიხდება ლაპარაკი ქვემოთ.

ამრიგად, ავადმყოფობა სამამულო მეცნიერების — პავლოვური — გაგებით, განუყრელ ერთიანობაში მყოფი ავადმყოფობის საწინააღმდეგო ფიზიოლოგიური ზომის, დაზიანებითი, დამლოკალებელი და კომპენსაციური მოვლენების კანონზომიერი შეუღლება, კომბინაცია. აი ეს არის ორგანიზმის ირგვლივ მყოფ გარემოსთან გაწონასწორების დარღვევის პათობიოლოგიური საფუძველი. პ. პავლოვი იმასაც წერდა, რომ ავადმყოფობა, პათოლოგია ადამიანს ართმევს ნორმული მოღვაწეობის შესაძლებლობას, რითაც, როგორც სავსებით სწორად აღნიშნავენ. მან საშუალება მოგვცა ავადმყოფობა გაგვეგო სოციალური მიღვომითაც, ე. ი. როგორც შრომისუნარიანობის მეტად თუ ნაკლებად მოშლა.

### ავადმყოფობის მიზეზები და მისი განვითარების მექანიზმები

არ შეიძლება ავადმყოფობაზე თანამედროვე, სწორი წარმოდგენა ვიქონიოთ, თუ არ ვიცით ავადმყოფობის მიზეზები, წარმოშობა და განვითარება.

ავადმყოფობა ბუნების მოვლენაა და მას, ისე როგორც ბუნების ყველა სხვა მოვლენას, აქვს თავისი მიზეზი. ავადმყოფობა ბევრია, რამდენიმე ასეული, და მათი გამომწვევი მიზეზებიც მრავალრიცხოვანია. ავადმყოფობათა მიზეზი, ანუ ეტიოგენეზური ფაქტორები ორგანიზმის ირგვლივ მყოფ გარემოშია; ორგანიზმი და მისი გარემო კი ერთიანობაშია. მაშასადამე, ორგანიზმი და ავადმყოფობის მიზეზობრივი ფაქტორი, ანდა, როგორც პავლოვი ამბობდა, საგანგებო გამლიზიანებელი, განუყრელ კავშირში, ერთიანობაში არიან. საჭიროა ვიცოდეთ, რომ აღამიანის ავადმყოფობათა მიმართ წამყვანი მიზეზობრივი მნიშვნელობა აქვს სოციალურნომიურ ფაქტორებს — შრომისა და ყოფაცხოვრების პირობებს.

ამა თუ იმ ავადმყოფობის წარმოშობისათვის საჭიროა პირობათა, ანუ ფაქტორთა წყება. ამ ფაქტორთა შორის განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს ორგანიზმის ბიოლოგიურ თავისებურებებს, ანუ, როგორც ამბობენ, ორგანიზმის რეაქტივობას, რაც ძირითადად განპირობდება ნერვული სისტემის ფუნქციური მდგრადრეობით. ავადმყოფობის წარმოშობისათვის საჭირო ფაქტორთაგან ავადმყოფობის მიზეზად ითვლება ის ფაქტორი, ურომლისოდაც ავადმყოფობა არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება წარ-

მოიშვას მიუხედავად სხვა დანარჩენი საჭირო ფაქტორების არსებობისა და რომელიც ამავე დროს განაპირობებს ავადმყოფობის დამახასიათებელ გამოვლინებებს, სპეციფიკურობას. მაგალითად, ტუბერკულოზის მიზეზად ითვლება ტუბერკულოზის ჩეირი (მიკობაქტერია), იმიტომ რომ ორგანიზმში ტუბერკულოზის ჩეირის არსებობის გარეშე არ შეიძლება განვითარდეს ტუბერკულოზი, არ შეიძლება ჩამოყალიბდეს ტუბერკულოზისათვის სპეციფიკური ორგანიზმის სტრუქტურულ-ფუნქციური ცვლილებანი.

ავადმყოფობათა მიზეზები მეტად სხვადასხვაგვარია. ჯერ-ერთი, ბევრი ავადმყოფობის მიზეზებად მიჩნეულია საგანგებო გამლიზიანებლები, ანუ ეტიოგენეზური ფაქტორები: მექანიკური (დარტყმა, შენძრევა, რყევა და სხვ.), ფიზიკური (თერმული—გადა-თბობა, გაყინვა, სხივური—სხივური ენერგიის სხვადასხვა სახე), ქიმიური (შხამური) და ბიოლოგიური (ფრიად სხვადასხვანაირი მიკრობები და ცხოველური პარაზიტები). მთელ რიგ ავადმყოფობათა მიზეზია ის, რომ ორგანიზმს მოაკლდება ხოლმე ნორმული ფაქტორები, ნორმული გამლიზიანებლები: ვიტამინები, მჟავბადი, საკვების სხვადასხვა ნაწილები, სინათლე, ნორმული ფიზიკური მუშაობა და ჰორმონები (შიდასეკრეტორული ჯირკვლების გამო-ნაყოფი). დაბოლოს, გარკვეულ ავადმყოფობათა და ავადმყოფურ რეაქციათა მიზეზებად თვლიან ნორმულ ფაქტორებს, ნორმულ განლიზიანებლებს, რომლებიც პათოგენური (ავადმყოფობის გამო-მწვევი) არ არიან ჩვეულებრივი, წინასწარ მოუმზადებელი ორგა-ნიზმისათვის, მაგრამ პათოგენური ხდებიან დროში და გარემოში შეცვლილი ორგანიზმისათვის. ითვლება, რომ ისეთი ფაქტორებით გამოიწვევა ე.წ. ალერგიული და კვალისმიერი შემდგომმოქმედებითი რეაქციები, და ავადმყოფობანი—პირობითრეფლექსური და ფსიქო-გენური.

ალერგიული რეაქცია—ეს გარეგან ზემოქმედებაზე ორგანიზმის ისეთი პასუხია, ისეთი რეაქციაა, რომელიც თვისობრივად განსხვავ-დება ასეთივე ზემოქმედებაზე ჩვეულებრივი რეაქციისაგან. ალერ-გიული რეაქციის საფუძველია ორგანიზმის წინასწარი მომზადება, შეცვლა ამა თუ იმ გარეგანი ზემოქმედებით, ხშირად იგივე გარე-განი ზემოქმედებით, რომელიც განმეორებისას ალერგიულ, შეცვლილ რეაქციას განაპირობებს. ალერგიულ რეაქტივობას აღგილი აქვს რევმატიზმისა და ზოგიერთ სხვა ინფექციური სნეულების დროს.

ალერგიული ავადმყოფობაა, მაგალითად, ბრონქული ასთმა, თივის-მიერი ცხელება.

კვალისმიერი შემდგომმოქმედების რეაქციის საფუძველზე შეიძლება ავადმყოფობის დამთავრების შემდეგ ხელახლა განვითარდეს იგივე ავადმყოფობა, მოხდეს ავადმყოფობის შებრუნება, ანუ რეციდივი. ამავე დროს ავადმყოფობის ხელახლა განვითარების მიზეზი ნორმული, ინდიფერენტული ფაქტორია, და არა სპეციფიკური, საგანგებო გამლიზიანებელი. ამას, პავლოვის მიხედვით, იმით ხსნიან, რომ ავადმყოფობა ნერვულ სისტემაში (ქერქში, ქერქქვეშაში) სტოვებს კვალს, „აგზნების შეგუბებით კერას“, რომლის რაიმე, თუნდაც სუსტი ზემოქმედება შემდეგ ნერვულ სისტემაზე კვალისმიერი შემდგომმოქმედების პრინციპის საფუძველზე ხელახლა განაახლებს უკვე გადატანილი ავადმყოფობის სურათს. ა. სპერანსკის ხელმძღვანელობით შესრულებული შრომებიდან ჩანს, რომ ასეთი კვალისმიერი შემდგომმოქმედების საფუძველი შეიძლება ჰქონდეს მიკრობული, ტოქსინური და სხვა წარმოშობის ავადმყოფობათა რეციდივებს.

პირობითრეფლექსურ ავადმყოფობათა წარმოშობის მექანიზმი ასეთია. თუ საგანგებო გამლიზიანებლის, პათოგენური აგენტის ორგანიზმზე მოქმედებას ბევრჯერ დაემთხვა დროში ნორმული, ინდეფერენტული გამლიზიანებლის მოქმედება, შემდეგში მხოლოდ ნორმულ გამლიზიანებელს (საგანგებო გამლიზიანებლის გარეშე) შეუძლია ავადმყოფობის გამოწვევა. ექსპერიმენტში მიღებულია პირობითრეფლექსური ავადმყოფობანი—მოწამლგანი აპომორფინით, მორფინით და სხვ. ზემოთ უკვე დასახელებული ავადმყოფობა—ბრონქული ასთმა გამოიწვევა გარკვეული ეტიოგენეზური ფაქტორით. ბრონქული ასთმის განმეორებითი შეტევები აღამიანს ზოგჯერ უვითარდება იმ გარემოცვაში (იმ ნორმული გამლიზიანებლების პირობებში), რომელშიაც მას განუვითარდა პირველი შეტევა.

ფსიქოგენური ავადმყოფობანი წარმოიშობიან, როგორც ამბობდა ი. პ. პავლოვი, გაგონილი და დაწერილი სიტყვით. სიტყვა სიგნალთა (გამლიზიანებელთა—საგანთა, მოქმედებათა) სიგნალია (გამლიზიანებელთა სახელია, საგანთა, მოქმედებათა თვისების ამსახველია). უარყოფით, არასასიამოვნო მოვლენათა ამსახველი სიტყვა ხშირად პათოგენური ფაქტორია, აღამიანში ქვენის მწუ-

რარებას, შიშს, არაიშვიათად იწვევს აღელვებას, ზოგჯერ ადამიანს აგდებს სასოწარკვეთილებაში. ამით ის იწვევს თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქის გადაძაბვას, რომელსაც ხშირად თან სდევს უმაღლესი ნერვული მოქმედების ჩაშლა, რის შედეგად შეიძლება განვითარდეს ე.წ. ნევროზები და სხეულის (სომატური) ავადმყოფობანიც კი. დიდი ჰემისფეროების ქერქის გადაძაბვა, უმაღლესი ნერვული მოქმედების ჩაშლა შეიძლება გამოიწვიოს შემზარავი ხმაურის გაგონებამ ან მძიმე სურათის დანახვამ და ა. შ.

არასწორია, როდესაც ამბობენ, რომ არსებობს ავადმყოფობის ენდოგენური (შინაგანი), ე. ი. ორგანიზმში მყოფი მიზეზები. კანონზომიერია ლაპარაკი ავადმყოფობის არა შინაგან მიზეზებზე, არამედ ავადმყოფობისათვის ხელშემწყობ, ორგანიზმში არსებულ პირობებზე. ავადმყოფობისათვის ასეთ ხელშემწყობ, ავადმყოფობისადმი ორგანიზმის მიმღრევ პირობას წარმოადგენს სწორედ ორგანიზმის რეაქტივობის შესაფერი მდგომარეობა, რეაქტივობის საფუძველი კი არის ორგანიზმის მემკვიდრეობითი, ასაკობრივი და კონსტიტუციური (აგებულებრივი), ინდივიდური თავისებურებანი, რომლებიც გამომუშავდება გარე გარემოს ზეგავლენით ორგანიზმის ხანგრძლივი ისტორიული (ფილოგენეზური) და ინდივიდური (ონტოგენეზური) განვითარების მანძილზე.

ავადმყოფობის წარმოშობა, სამამულო მედიცინის, პავლოვის მოძღვრების მიხედვით, დაკავშირებულია ეტიოგენეზური ფაქტორის მოქმედებასთან ორგანიზმის ნერვულ სისტემაზე. მავნე აგენტმა შეიძლება იმოქმედოს ორგანიზმის უჯრედებზე, უჯრედშუა ნივთიერებებზე და დააზიანოს ისინი, მაგრამ ავადმყოფობის წარმოშობა განპირობდება არა ამით, როგორც ეს ვირხოვს ეგონა, არამედ ნერვულ სისტემაზე მავნე აგენტის მოქმედებასთან დაკავშირებული ნერვულრეფლექსური მექანიზმების ამოძრავებით. სწორედ ეტიოგენეზური ფაქტორის, მავნე აგენტის ნერვულ სისტემაზე მოქმედების შედეგად ხდება ნორმული რეფლექსური მოქმედების დარღვევა, პათოლოგიური რეფლექსების წარმოშობა და ნერვულრეფლექსური მექანიზმებით ორგანიზმის დაცვის ორგანიზაცია. პათოლოგიური რეფლექსების შედეგად წარმოიშობა ავადმყოფობისათვის ჩვეული ორგანიზმის სტრუქტურული და ფუნქციური მოშლილობანი. ავადმყოფობის წარმოშობასა და განვითარებაში, გარდა ნერვული სისტემის, ნერვული მექანიზმებისა, მონაწილეო-

პენ პორმონული, პუმორული (სითხოვანი) მექანიზმები, მაგრამ ნერვულრეფლექსური მექანიზმები მთავარი და წამყვანია.

ცალკე და ფრიად მნიშვნელოვანი საკითხია ის, თუ ნერვული სისტემის რომელ ნაწილზე შეიძლება იმოქმედოს ეტიოგენეზურმა ფაქტორმა, ე. ი. ნერვული სისტემის რომელი ნაწილიდან შეიძლება დაიწყოს ორგანიზმის ავადმყოფობა. ცნობილია, რომ ერთიან ნერვულ სისტემაში არჩევებ ცენტრალურ და პერიფერიულ ნაწილებს. ცენტრალური ნერვული სისტემა მოთავსებულია თავის ქალას ლრუში და ხერხემლის არხში, პერიფერიული ნერვული სისტემა კი—ორგანიზმის ყველა დანარჩენ ნაწილში, ორგანოებსა და ქსოვილებში. ხასიათისდა მიხედვით, მავნე აგენტმა შეიძლება იმოქმედოს როგორც ცენტრალურ ნერვულ სისტემაზე, ცხადია, თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქის ჩათვლით, ისე პერიფერიულ ნერვულ სისტემაზე. მაგრამ ნერვული სისტემის რომელ ნაწილზე-დაც უნდა იმოქმედოს მავნე აგენტმა, ე. ი. ნერვულ სისტემის რომელ ნაწილშიც უნდა იყოს ავადმყოფობის განვითარების საწყისი, ავადმყოფობის შემდგომ განვითარებაში მთავარი, გამძლოლი მნიშვნელობა ეკუთვნის თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქს. ეს იმიტომ, რომ თავის ტვინის დიდი ჰემისფეროების ქერქი, როგორც უკვე ზემოთ იყო ნათქვამი, აორგანიზებს ორგანიზმის გაწონასწორებას გარემოსთან, ე. ი. აორგანიზებს ორგანიზმის დაცვას ავადმყოფობისაგან, აგრეთვე დაავადებული ორგანიზმის გაჯანმრთელებას, რაზედაც ქვემოთ კიდევ იქნება ლაპარაკი. იმ ამიტომ ნერვული სისტემის, თავის ტვინის ქერქის ფუნქციურ მდგომარეობას განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს როგორც ჯანმრთელი ადამიანის დაავადებისათვის, ისე ავადმყოფი ადამიანის გაჯანმრთელებისათვის.

როდესაც ლაპარაკია ავადმყოფობის განვითარებაზე, განვითარების მექანიზმებზე, ანუ პათოგენეზზე, ანგარიში უნდა გაეწიოს იმას, რომ ხშირად ავადმყოფობის წარმოშობის მიზეზი (ეტიოგენეზური ფაქტორი) აღარ არის ავადმყოფობის შემდგომი განვითარების მიზეზი, ის (ავადმყოფობის წარმოშობის მიზეზი) ქრება, მაგრამ ავადმყოფობა მაინც ვითარდება, გრძელდება. აქ ადგილი აქვს ე. წ. მიზეზ-შედეგობრივ კანონზომიერებას. ასეთ შემთხვევაში ავადმყოფობის პირველიდი მიზეზით გამოწვეული ცვლილებები ორგანიზმში ხდება შემდგომ ცვლილებათა გამოწვევის მიზეზად, ეს შემდგომი ცვლილებები კი, თავის მხრივ, ხდება კიდევ ახალ ცვლილებათა მიზეზად და ა. შ.

ავადმყოფობის განვითარების მიზეზ-შედეგობრივი კანონზომიერების საილუსტრაციოდ შეიძლება დასახელდეს შემდეგი მაგალითი. არსებობს ავადმყოფობა ენდოკარდიტი, რომელიც წარმოადგენს გულის სარქველების ანთებას. ენდოკარდიტის მიზეზია ინფექციური აგენტი. ამ პირველადი მიზეზის გულის ორკარიან სარქველზე მოქმედებასთან დაკავშირებით მიიღება შედეგი—ორკარიანი სარქველის ენდოკარდიტის შემდგომი ცვლილება (გასქელება, გამკვრივება, შეჭმუხვნა, დეფორმაცია). ასეთი შედეგი (ენდოკარდიტის შემდგომი ცვლილება) ხდება ფილტვებში სისხლის შეგუბების და გულის მარცხენა ნაწილის გაგანიერებისა და პიპერტროფიის (კუნთის გასქელების) მიზეზი. დასახელებული შედეგი (ფილტვებში სისხლის შეგუბება), თავის მხრივ, ხდება გულის მარჯვენა ნაწილის გაგანიერებისა და პიპერტროფიის მიზეზი. ეს შედეგი (გულის პიპერტროფია), თავის მხრივ, ხდება მიზეზი შემდგომი ცვლილებისა—გულის კუნთის დაზიანებისა, რაც, როგორც შედეგი, იქცევა მთელ ორგანიზმში სიხლის მიმოქცევის მოშლის მიზეზად და ა. შ.

ვირხოვს მცდარად ეგონა, რომ ავადმყოფობის ეტიოგენეზური ფაქტორი, ე. ი. პირველადი მიზეზი ავადმყოფობის ბოლომდე, მისი განვითარების ყველა საფეხურზე, ყველა ეტაპზე თუ ხანაში რჩებოდა ერთადერთ მიზეზად.

ავადმყოფობის მიზეზების, მიზეზობრივი წარმოშობის ცოდნას, ავადმყოფობის წარმოშობისა და განვითარების მექანიზმის ცოდნას არა მარტო დიდი თეორიული, არამედ დიდი პრაქტიკული მნიშვნელობაც აქვს.

ავადმყოფობის მიზეზების, საგანგებო გამლიზიანებელთა ცოდნას, ამ მიზეზთა ორგანიზმთან შეხვედრისა და მასზე მოქმედების ხერხების ცოდნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ავადმყოფობის არიდებისათვის, პროფილაქტიკისათვის. თანამედროვე პროფილაქტიკა მიზეზობრივი პროფილაქტიკაა — ის მრავალ ღონისძიებას იყენებს იმისათვის, რომ მოსპოს ეტიოგენეზური ფაქტორები ადამიანთა ირგვლივ მყოფ გარემოში და შეუძლებელი გახადოს ადამიანებზე მათი მოქმედება.

ავადმყოფობათა მიზეზების ცოდნას ემყარება აგრეთვე მკურნალობის ბევრი წესი, ე. წ. მიზეზობრივი, ეტიოგენეზური თერაპია, რომელიც მიისწრაფვის ავადმყოფ ორგანიზმში მოსპოს, უვნე-

შელი გახადოს ეტიოგენეზური ფაქტორი. მიზეზობრივი თერაპიის პრინციპზე წარმოებს, მაგალითად, მალარიის მკურნალობა ქინა-ქინით, ტუბერკულოზისა — სტრეპტომიცინით თუ ფთივაზიდით, მთელ რიგ ინფექციურ ავადმყოფობათა მკურნალობა სხვადასხვა ანტიბიოტიკებით და ა. შ.

ავადმყოფობის განვითარებაში არსებულ მიზეზშედეგობრივ კანონზომიერებას ემყარება მკურნალობის სხვა წესები, ე. წ. პათო-გენეზური თერაპია. პათოგენეზური თერაპია გულისხმობს ორგანიზმ-ში ავადმყოფობის არა პირველადი მიზეზების განადგურებას, რომე-ლიც შეიძლება იქ აღარც იყოს, არამედ დაზიანების გამოსწორებას, ავადმყოფობის განვითარების სხვადასხვა ხანაში ორგანიზმის წარმო-შობად პათოლოგიურ ცვლილებებზე ზემოქმედებას, რომელთაგან თვითეული წინა ცვლილება მიზეზია შემდგომი ცვლილებებისა, ე. ი. ავადმყოფობის შემდგომი განვითარების, მისი გაგრძელებისა.

### ორგანიზმის დაცვითი საშუალებანი

საგანგებო გამლიზიანებლის ორგანიზმზე მოქმედების, ანდა, როგორც პავლოვი ამბობდა, ორგანიზმისა და საგანგებო გამლი-ზიანებლის შეხვედრის შემდეგ ორგანიზმი ვითომდა უნდა დაავად-დეს. ასედაც ფიქრობდა ვირხოვი, ასედაც ეგონა ძველ პავლოვამ-დელ მედიცინის, მაგრამ ეს ასე არ არის. ორგანიზმისა და ეტიო-გენეზური ფაქტორის ერთმანეთთან შეხვედრა სინამდვილეში ჯერ კიდევ არ ნიშნავს ორგანიზმის დაავადებას, ორგანიზმზე ეტიოგე-ნეზური ფაქტორის მოქმედების შედეგად შეიძლება ორგანიზმში ავადმყოფობა არ განვითარდეს.

სამამულო, პავლოვური მედიცინის მიხედვით, ორგანიზმისა და ეტიოგენეზური ფაქტორის ერთმანეთთან შეხვედრის შემდეგ მათ შორის იწყება ბრძოლა, და ამ ბრძოლის შედეგი შეიძლება იყოს ორგანიზმის გამარჯვება, ე. ი. მისი არღავადება, ანდა ორგანიზ-მის დამარცხება, ე. ი. მისი დაავადება.

ავადმყოფობის გამომწვევი ფაქტორი, მავნე აგენტი მოქმე-დებს ორგანიზმზე, როგორც ამაზე ზემოთაც იყო თქმული, პირ-ველ ყოვლისა ნერვული სისტემის მეშვეობით, მოქმედებს ნერვულ სისტემაზე, რადგანაც ნერვული ქსოვილი ორგანიზმის სხვა და-ნარჩენ ქსოვილებზე უფრო მგრძნობიარეა. და აი, სწორედ მივნე აგენტის ნერვულ სისტემაზე მოქმედების შედეგად ორგანიზმში

მობილიზდება ზემოთ უკვე დასახელებული ავადმყოფობის საწინააღმდეგო ფიზიოლოგიური ზომა, წარმოიშობა მავნე აგენტის გამაუვნებელი რეფლექსები. ეს რეფლექსები იწვევს ორგანიზმში ისეთ ცვლილებებს, მავნე აგენტის ხასიათის მიხედვით ისეთ მეტად სხვადასხვა ძვრებს სომაში (სხეულში), რომლებიც მიმართულია მავნე აგენტის მოშორებისაკენ, მისი განეიტრალებისაკენ, მისი დაძლევისაკენ. მავნე აგენტის წინააღმდეგ მიმართული ეს ნერვულ-რეფლექსური წარმოშობის მოვლენები ცნობილია, როგორც ორგანიზმის დამცველი მოვლენები. ისინი მართლაც ახორციელებენ ორგანიზმის დაცვას და წარმოადგენენ იმ დამცველ მოვლენებს, რომლებზედაც ვლაპარაკობდით ზემოთ.

ცხადია, რომ ორგანიზმის წინააღმდეგ მიმართული მავნე აგენტის მოქმედება და ორგანიზმში ამ მოქმედების წინააღმდეგ მიმართული საპასუხო ნერვულ-რეფლექსური მოვლენები გამოხატავენ ბრძოლას ორგანიზმსა და ავადმყოფობის გამომწვევ აგენტს შორის.

ეს ბრძოლა, რასაკვირველია, ჯერ კიდევ არ არის ავადმყოფობა, ის არის ზღვარი ჯანმრთელობასა და ავადმყოფობას შორის. ეს ბრძოლა, ანდა მოსაზღვრე მდგომარეობა ორგანიზმის ჯანმრთელ და ავადმყოფურ მდგომარეობათა შორის, ზოგჯერ ძალიან ხანმოკლეა, ზოგჯერ კი — უფრო ხანგრძლივი.

ორგანიზმისა და მავნე აგენტის ერთმანეთთან ბრძოლაში, როგორც ეს ზემოთ იყო ნათქვამი, ორგანიზმში შეიძლება ძლიოს მავნე აგენტს, გაიმარჯვოს, ე. ი. მან შეიძლება შეინარჩუნოს ჯანმრთელობა, ანდა, პირიქით, მავნე აგენტმა ძლიოს ორგანიზმს, ორგანიზმი დამარცხდეს, ე. ი. დაავადდეს.

სიცხადისათვის, ნერვულ-რეფლექსურად გამოწვეული ორგანიზმის მრავალი დამცველი მოვლენიდან შეიძლება დასახელდეს ზოგიერთი. მავნე აგენტთან (მექანიკურთან, ფიზიკურთან — უკიდურესად მაღალ ან უკიდურესად დაბალ ტემპერატურასთან, ქიმიურთან) შეხებადი სხეულის ნაწილი მაშინვე ავტომატურად (უნებურად) მოშორდება მავნე აგენტს ტკიფილისმიერი მოძრაობითი ნერვული რეფლექსის შედეგად. თვალში მავნე აგენტის მოხვედრისას ნერვულ-რეფლექსურად გამოიყოფა დიდი რაოდენობით ცრემლი, რომელიც მექანიკურად ამორეცხს, განაზავებს, ანეიტრალებს მას, ერთი სიტყვით, აუგნებლებს ამ მავნე აგენტს. პირის ღრუს

ლორწოვანი გარსის არაჩვეულებრივი გალიზიანებისას ნერვულ-რეფლექსურად გამოიყოფა დიდი რაოდენობით ნერწყები, რომელიც ისეთნაირადვე მოქმედებს მავნე აგენტზე, როგორც ცრემლი, ე. ი. აუვნებლებს ამ გამლიზიანებელს, ამ მავნე აგენტს. კუჭის ლორწოვანი გარსის, ნაწლავების ლორწოვანი გარსის არაჩვეულებრივი გალიზიანებისას აგრეთვე ნერვულრეფლექსურად გამოიყოფა დიდი რაოდენობით კუჭის წვენი, ნაწლავის წვენი, ლორწო, რომელებიც აუვნებლებენ პათოგენურ აგენტს. ამას გარდა, ნერვულრეფლექსურად წარმოშობადი დამცველი მოვლენებია ხველება, რის საშუალებითაც ხდება სასუნთქი გზების განთავისუფლება მავნე ელემენტებისაგან (მტვერისაგან, მიკრობებისაგან), პირლებინება, კუჭნაწლავის ხანმოკლე აშლილობა, რომელთა საშუალებითაც ხდება მავნე ელემენტებისაგან (უვარგისი სასმელ-საჭმელი, საწამლავები) კუჭისა და ნაწლავების, ე. ი. ორგანიზმის განთავისუფლება.

ორგანიზმის დამცველი მოვლენა შეიძლება განხორციელდეს ამა თუ იმ ფუნქციის დროებით შეჩერებითაც, მაგალითად, სასუნთქი გზების ლორწოვანების ძლიერი გალიზიანებისას (ვთქვათ, ამიაკის ორთქლით) სუნთქვა რეფლექსურად ჩერდება, რაც შეუძლებელს ხდის გამლიზიანებლის შემდგომ შესვლას სასუნთქ გზებში. ნერვულრეფლექსურად ჩერდება სუნთქვა აგრეთვე წყალში ჩავარდნის დროს, ვიდრე სუნთქვა შეჩერებულია, წყალი ვერ შედის სასუნთქ გზებში.

აქ არ შეიძლება არ ითქვას იმ დამცველ მექანიზმებზედაც, რომლებიც გარკვეული სტრუქტურების სახით წარმოიშვნენ და განვითარდნენ, ისე როგორც დამცველი ნერვული რეფლექსები, ორგანიზმის ისტორიული, ფილოგენეზური, განვითარების გრძელ მანძილზე. ასეთი სტრუქტურული მექანიზმები ორგანიზმში ყველან არის. მაგალითისათვის შეიძლება დასახელდეს ორგანიზმის გარეთა (კანი) და შიგნითა (სასუნთქი გზების, საჭმლისმომნელებელი ტრაქტის და შარდსასქესო ორგანოების) ზედაპირებზე განლაგებული მექანიზმები. სწორედ ეს ზედაპირები ეხება უშუალოდ გარემოს, სწორედ ამ ზედაპირებზე მოქმედებენ, პირველ ყოვლისა, ირგვლივ მყოფი გარემოს ჩვეულებრივი (ნორმული) და არაჩვეულებრივი (არანორმული), საგანგებო გამლიზიანებლები, მავნე აგენტები.

კანი და ლორწოვანი გარსები, ორგორც ასეთები, იცავენ ორგანიზმს სხვადასხვა მავნე აგენტისაგან. კანში და ლორწოვანებშია განლაგებული დასაწყისი რგოლები იმ დამცველი რეფლექსებისა, რომლებზედაც ლაპარაკი იყო ზემოთ.

კანის მფარავი ეპიდერმისი, განსაკუთრებით ამ უკანასკნელის ზედაპირული გარქავებული შრე იცავს ორგანიზმს მექანიკური, ფიზიკური, ქიმიური და ინფექციური მავნე აგენტებისაგან. ეპიდერმისის გარქავებული შრე შეუღწევადია ბევრი ქიმიური ნივთიერებისა და ბევრი მიკრობისათვის. კანში მყოფი ჯირკვლების (ოფლის, ქონის) სეკრეტი (გამონაყოფი) გამოდის კანის ზედაპირზე და ჩამორეცხს ამ ზედაპირზე მყოფ მიკრობებს. კანს აქვს ზოგიერთი მიკრობის დამხოცი, მიკრობოციდული თვისებები.

ლორწოვანი გარსების ორგანიზმის დამცველი როლი გამოიხატება იმით, რომ მათი ეპითელური საფარი შეუღწევადია ზოგიერთი ქიმიური ნივთიერებისა და ზოგიერთი მიკრობისათვის. ამავე დროს, როგორც ამაზე ზემოთ იყო ნათქვამი, ლორწოვანი გარსების ჯირკვლების სეკრეტი, რომლის გამოყოფა ნერვულრეფლექსურად ძლიერდება ლორწოვანებზე მავნე აგენტის მოქმედებისას, ჩამორეცხს მავნე აგენტს, განაზავებს და ანეიტრალებს მას და აღჭურვილია ბაქტერიოციდული თვისებებით. ამას გარდა, სასუნთქი გზების ლორწოვანი გარსების მფარავი მოციმციმე ეპითელური უჯრედები მექანიკურად განდევნის მტვერისა და სხვა მავნე აგენტების უმცირეს ნაწილაკებს.

საყურადღებოა ის, რომ ზღვარი ორგანიზმის ჯანმრთელობასა და ავადმყოფობას შორის, ე. ი. ორგანიზმსა და მავნე აგენტს შორის ბრძოლა, რომელიც ჯერ არ დამთავრებულა არც ერთის და არც მეორის სასარგებლოდ, ჩვენთვის ხშირად მალულია, მისი დაღვენა ჯერჯერობით ჩვენ არ ვიცით. მისი ცოდნა კი შესაძლებლობას მოგვცემდა დროულად დავხმარებოდით ორგანიზმს ბრძოლაში, ე. ი. არ მიგვეყვანა ორგანიზმი ავადმყოფობამდე, აგვეცილებინა ორგანიზმისათვის ავადმყოფობა.

ორგანიზმის გამარჯვება თუ დამარცხება მავნე აგენტთან ბრძოლაში დამოკიდებულია არა მხოლოდ მავნე აგენტის ხასიათსა და სიძლიერებზე, არამედ მნიშვნელოვან წილად — თვით ორგანიზმის წარსულ ცხოვრებაზე, მისი ინდივიდური, ანუ ონტოგენეზური განვითარების თავისებურებაზე.

ადამიანის ინდივიდური განვითარების პერიოდში ცხოვრების შეუფერებელმა პირობებმა, გადატანილმა სხვადასხვა ფსიქიკურმა და ფიზიკურმა გავლენამ შეიძლება შეასუსტოს, დააძაბუნოს ორგანიზმის დამცველი ძალები, მოამზადოს მასში ნიაღაგი ავაღმყოფობისათვის, შექმნას, როგორც ამბობენ, ორგანიზმის მზადყოფნა ავაღმყოფობისათვის.

ცხადია, რომ თვითეული კონკრეტული ადამიანის ორგანიზმის ავაღმყოფობისათვის მზადყოფნის ცოდნას გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მის მიერ ავაღმყოფობის არიდებისათვის, პროფილაქტიკისათვის. მართლაცდა, გარკვეული ავაღმყოფობისათვის ორგანიზმის მზადყოფნის ცოდნა უკარნახებს, რომ ეს ორგანიზმი აერიდოს, არ შეხვდეს იმ მიზეზობრივ ფაქტორს, რომელიც ავაღმყოფობისათვის მზადყოფნას ავაღმყოფად აქცევს.

### დაავაღმყოფება და გაჯანმრთელება

ორგანიზმსა და მავნე აგენტებს შორის გამართული ბრძოლა თუ მავნე აგენტის გამარჯვებით დამთავრდა, მაშინ, როგორც ეს ზემოთაც იყო ნათქვამი, დამარცხებული ორგანიზმი დაავადდება. დაავადებულ ორგანიზმში ავაღმყოფობის დაწყებიდან მის დამთავრებამდე ადგილი აქვს ნერვულრეფლექსურად განპირობებულ ორგვარ პროცესს — დაზიანებითსა და აღდგენითს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ ორგვარ, ავაღმყოფი ორგანიზმისათვის მოპირისპირე მნიშვნელობის, პროცესთა ერთმანეთისაგან მკვეთრად განსხვავება სამამულო მედიცინის დამსახურებას წარმოადგენს. აღდგენითი, გაჯანმრთელებითი პროცესების ცოდნა დიდმნიშვნელოვანია იმიტომ, რომ გამოინახოს მათი გაძლიერების საშუალებანი, რაც დაეხმარება ორგანიზმს ავაღმყოფობასთან ბრძოლაში.

დაზიანებული, ანუ საკუთრივ პათოლოგიური პროცესები განპირობდება ნერვულრეფლექსური მოქმედების მოშლით, ნერვული ტროფიკის დარღვევით, რასაც თან სდევს ორგანიზმში ნივთიერებათა ცვლის მოშლა. ეს უკანასკნელი კი გამოიხატება ზედმიწევნით სხვადასხვაგვარი დისტროფიული პროცესით — ორგანიზმის ქსოვილებისა და უჯრედების ცხოველმოქმედების დაქვეითებით, სტრუქტურებისა და ფუნქციების დაზიანებით.

აღდგენითი, ანუ გაჯანმრთელებითი პროცესები განპირობდება აგრეთვე ნერვულრეფლექსური მოქმედებით, სახელდობრ,

ახლადწარმოშობილი ნერვული რეფლექსებით. ეს პროცესები გამოხატავს ორგანიზმის ბრძოლას მავნე აგენტის წინააღმდეგ; ეს პროცესები ასწორებს, ანაზღაურებს ორგანიზმისათვის მავნე აგენტის მიერ მიყენებულ დაზიანებებს. ასეთი პროცესები ბევრი შეიძლება დასახელდეს: მაგალითად, სიცხე, რომელიც ეხმარება ორგანიზმს მავნე აგენტის დაძლევაში; ეგრეთ წოდებული ანტი-სხეულების გამომუშავება მიკრობული ან სხვა წარმოშობის ანტი-გენების წინააღმდეგ. ალდგენითს, გაჯანმრთელებითს პროცესებს ეკუთვნის აგრეთვე ვიკარობა (შემცველობა), რაც იმით გამოიხატება, რომ გარკვეული უჯრედების, გარკვეული ქსოვილების დაზიანების თუ დალუპვის შემდეგ მათ ფუნქციას კისრულობენ სხვა შესატყვისი უჯრედები და ქსოვილები. ვიკარობის უნარი განსაკუთრებით კარგად არის გამოხატული ნერვულ ქსოვილში. მაგალითად, თავის ტვინის გარკვეული უბნის დაზიანებისას მისი ფუნქცია შეიძლება იკისროს ტვინის სხვა უბანმა. ასეთსავე პროცესებს ეკუთვნის: რეგენერაცია, ჰიპერტროფია, მეტაპლაზია და სხვ. რეგენერაცია (ალორძინება) წარმოადგენს დალუპული უჯრედებისა და ქსოვილების მაგიერ ახალი უჯრედებისა და ქსოვილების წარმოშობას. ჰიპერტროფია — ეს არის ორგანოს გადიდება მისი ფუნქციის, მუშაობის უნარის გაძლიერებით, მიმართული ორგანიზმი წარმოშობილი ნაკლის გამოსწორებისაკენ, ანაზღაურებისაკენ. მეტაპლაზია წარმოადგენს შესაფერ ფუნქციურ მოთხოვნილებასთან დაკავშირებით ქსოვილის სტრუქტურულ და ფუნქციურ გადაკეთებას. ყოველივე ზემოთქმულიდან ცხადია, რომ ორგანიზმის თავდაცვა, მავნე აგენტების წინააღმდეგ ბრძოლა კი არ თავდება ორგანიზმის დამარცხების, ე. ი. დაავადების შემდეგ, არამედ გრძელდება ავადმყოფობის მიმდინარეობის მთელ მანძილზე.

აქ არ შეიძლება არ ითქვას, რომ დამცველი ორგანიზმის გარემოსთან შეგუების მოვლენებს ეკუთვნის ისე ფართოდ ცნობილი პროცესიც, როგორიცაა ანთება. მაგრამ უნდა აღინიშნოს, რომ ანთება, ისე როგორც ისტორიული განვითარების დროს ძალიან გრძელ მანძილზე ორგანიზმის მიერ გამომუშავებული დამცველი, შეგუებითი მოვლენები — სიცხე (ტემპერატურის აწევა) და სხვები არ შეიძლება ჩაითვალოს ორგანიზმისათვის აბსოლუტურად სასარგებლო მოვლენებად, მათ აქვთ ორგანიზმისთვის მავნე მხარეები().

ზემოთ განმარტებული ერთიმეორის მოპირისპირე მოვლენები თუ პროცესები — დაზიანებითი, რღვევითი და ალდგენითი, გაჯან-

მრთელებითი — არსებობს ავადმყოფობის მიმდინარეობის მთელ მანძილზე, მისი დასაწყისიდან დამთავრებამდე და განუყრელად დაკავშირებულია ერთმანეთთან, დიალექტიკურ ერთიანობაშია.

ავადმყოფობის დაზიანებითი და გაჯანმრთელებითი მოვლენები ისევე დინამიკური (განვითარებადი, სახეცვალებადი) არის, როგორც დინამიკურია თვით ავადმყოფობა. პირველთა და მეორეთა გამოვლინებების ინტენსიობა (სიმძლავრე) და ექსტენსიობა (გავრცელებადობა) იცვლება ავადმყოფობის მიმდინარეობაში — ხან დაზიანებისა და რღვევის მოვლენები ჭარბობს, ხან გამოსწორებისა და აღდგენის მოვლენები. აქედან ცხადია, რომ ავადმყოფი ორგანიზმის ბედილბალი, სიცოცხლე თუ სიკვდილი დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელი მოვლენები ძლევს ამ დაპირისპირებულ მოვლენათაგან — გაჯანმრთელებითი, სანოლოგიური თუ დაავადებითი, პათოლოგიური.

როდესაც ლაპარაკია ავადმყოფობის მნიშვნელობაზე სიცოცხლისათვის, არ შეიძლება ანგარიში არ გაეწიოს ავადმყოფობის გართულებას, რომელიც თავისი წარმოშობით განუყრელად არის დაკავშირებული ავადმყოფობასთან და არაიშვიათად განაპირობებს ავადმყოფობის სამწუხარო შედეგს. ასე რომ, საკმაოდ ხშირად სიკვდილს იწვევს არა თვით ავადმყოფობა როგორც ასეთი, არამედ მისი ესა თუ ის გართულება. მაგალითად, მუცლის ტიფის მიმდინარეობის გარკვეულ ეტაპზე ნაწლავის ტიფური დაზიანების გამო შეიძლება ნაწლავის დაზიანებული კედლიდან გართულების სახით განვითარდეს საბედისწერო სისხლდენა, ანდა ნაწლავის დაზიანებული კედელი გაიხვრიტოს და განვითარდეს, როგორც გართულება, საბედისწერო პერიტონიტი (მუცლის აპკის ანთება).

ავადმყოფობის განვითარების ეტაპები, მისი ხანგრძლიობა და შედეგი შეიძლება მეტად სხვადასხვანაირი იყოს. ჯერ-ერთი, ფრიად საყურადღებოა ის, რომ შემთხვევების დიდ უმრავლესობაში ავადმყოფობა, როგორც ეს შემრთ იყო აღნიშნული, იწყება არა ორგანიზმზე მავნე აგენტის მოქმედებისთანავე, არამედ გარკვეული ღროის შემდეგ. ეს დრო, როგორც უკვე ვთქვით, ცნობილია ავადმყოფობის ლატენტურ (ინკუბაციურ) პერიოდად და მისი ხანგრძლიობა ძალიან ფართო ფარგლებში მერყეობს — რამდენიმე წუთიდან ან რამდენიმე ათეული წუთიდან რამდენიმე წლამდე.

ხშირად ავადმყოფობის ლატენტური პერიოდის ბოლოსა და

ავადმყოფობის დაწყების შუა შეიძლება იყოს პროდრომული (პროდრომოს ბერძნულად წინასწარმაუწყებელს ნიშნავს), ჩვეულებრივად შედარებით ხანმოკლე პერიოდი, რომლის განმავლობაში ავადმყოფური მოვლენები სუსტად არის გამოხატული. პროდრომული პერიოდის შემდეგ იწყება ავადმყოფობა, რომელიც, ხასიათისდა მიხედვით, მეტად სხვადასხვაგვარი სტრუქტურულ-ფუნქციური ცვლილებებით, ერთობ სხვადასხვანაირი სუბიექტური და ობიექტური მოვლენებით ხასიათდება.

სხვადასხვა ავადმყოფობას სხვადასხვა ხანგრძლიობა აქვს. არჩევენ მწვავე, შედარებით ხანმოკლე (რამდენიმე კვირამდე) მიმდინარეობის მქონე ავადმყოფობებს და ქრონიკულ ავადმყოფობებს, რომლებსაც ხანგრძლივი (თვეებისა და წლების მანძილზე) მიმდინარეობა აქვთ. მწვავე ავადმყოფობა შეიძლება ქრონიკული გახდეს. ქრონიკული ავადმყოფობის მიმდინარეობაში შეიძლება აღგილი ჰქონდეს გამწვავებებს. უნდა აღინიშნოს, რომ ავადმყოფობის ხანმოკლე თუ ხანგრძლივი მიმდინარეობა შემთხვევითი მოვლენა არ არის. ამა თუ იმ ავადმყოფობის ხანგრძლიობა კანონზომიერი მოვლენაა და განუყრელად არის დაკავშირებული ავადმყოფობის მიზეზის, ორგანიზმის და მათი ურთიერთზემოქმედების თავისებურებებთან.

ავადმყოფობის შედეგი შეიძლება იყოს გაჯანმრთელება, პათოლოგიურ მდგომარეობაში გადასვლა და სიკვდილი. პათოლოგიური მდგომარეობა, ავადმყოფობისაგან განსხვავებით,—ეს არის მდგრადი, ძალიან ნაკლებად დინამიკური (ძალიან ნაკლებად ცვალებადი) მდგომარეობა. მაგალითად, პლევრის ანთება ხშირად მთავრდება პათოლოგიური მდგომარეობით—პლევრის გასქელებით, ფილტვებისა და ნეკნების პლევრის ერთმანეთთან შეზრდით.

### ჯანმრთელობა და დღვიგრძელობა

ჯანმრთელობისათვის, ავადმყოფობის არიდებისათვის, ავადმყოფობის შემდეგ გაჯანმრთელებისათვის ბრძოლა — ეს არის ბრძოლა სიცოცხლისათვის. „მთელი სიცოცხლე, — წერს ი. პ. პავლოვი,—არის გახორციელება ერთი მიზნისა, სახელდობრ თვით სიცოცხლის დაცვისა, დაუღალავი მუშაობა იმისა, რასაც სიცოცხლის ზოგადი ინსტინქტი ეწოდება“... სიცოცხლისათვის ბრძოლა, სიცოცხლის დაცვის განხორციელება—ეს ამავე დროს არის ბრძო-

ლა ხანგრძლივი სიცოცხლისათვის, ანუ, როგორც ჩვენში ამბობენ, დღეგრძელობისათვის. მაგრამ ინდივიდური სიცოცხლის ხანგრძლიობას აქვს საზღვარი, ბოლო. და ეს ბოლო არის ინდივიდური სიცოცხლის მოსპობა, ორგანიზმის სიკვდილი. როგორც უკვე ზემოთ ვთქვით, „სიცოცხლე სიკვდილს გულისხმობს“ (ფ. ენგელსი). ცოცხალი ორგანიზმის, ადამიანის სიკვდილი ბუნების გარდუვალი კანონია. მაგრამ როდესაც ლაპარაკია სიკვდილზე, როგორც ბუნების გარდუვალ კანონზე, იგულისხმება არა ჩვეულებრივი, პათოლოგიური სიკვდილი, რომელიც გამოიწვევა სხვადასხვა ავადმყოფობით ან უბედური შემთხვევით (სხვადასხვაგვარი ტრაგმით) და რომელიც ძალიან ხშირია, არამედ ფიზიოლოგიური, ანუ ბუნებრივი სიკვდილი, რომელიც მოხუცების შედეგია, გამოიწვევა მოხუცობით და რომელიც ძალიან იშვიათ მოვლენას წარმოადგენს.

ცოცხალი ორგანიზმის, ადამიანის მოხუცება არა პათოლოგიური, არამედ ფიზიოლოგიური, ბუნებრივი მოვლენაა. ორგანიზმის ჩასახვის მომენტიდან მასში იწყება და პროგრესულად ვითარდება გაცვეთის პროცესები, მაგრამ ორგანიზმის გარკვეულ ასაკამდე გაცვეთის პროცესებს გაცილებით ჭარბობს ალლგენის პროცესები. იმიტომ ორგანიზმი იზრდება, ვითარდება, შედის მომწიფების ასაკში. შემდეგ გაცვეთის პროცესები ძლიერდება, აღდგენის პროცესები კი სუსტდება, რაც უკვე მოხუცების დაწყებას ნიშნავს და რაც პროგრესულად მიიწევს სულ უფრო და უფრო წინ.

მოხუცების პროცესის საფუძველია ნივთიერებათა ცვლის თანდათანობით შესუსტება, ამასთან დაკავშირებით ორგანიზმის სტრუქტურების თანდათანობით გაცვეთა და ფუნქციების თანდათანობით შესუსტება, ე. ი. მთელი ორგანიზმის თანდათანობით დასუსტება და დაძაბუნება. ორგანიზმის მოხუცების პერიოდში ნივთიერებათა ცვლის თანდათანობით პროგრესული შესუსტება, ბუნებრივია, ბოლოს და ბოლოს დამთავრდება ამ ცვლის სრული შეწყვეტით. ნივთიერებათა ცვლის შეწყვეტა კი სიცოცხლის შეწყვეტას, ორგანიზმის სიკვდილს უდრის, რადგან, როგორც უკვე ვთქვით, ნივთიერებათა ცვლა სიცოცხლის საფუძველია, ცოცხალი ორგანიზმის სტრუქტურებისა და ფუნქციების საფუძველია. აი ასეთი სიკვდილი არის ფიზიოლოგიური, ბუნებრივი სიკვდილი.

ის ლოგიკურად გამომდინარეობს სიცოცხლის ენგელსისებური გაგებიდან, ორგანიზმის ფიზიოლოგიიდან, მოხუცების პროცესიდან<sup>1</sup>. ფიქტობენ, რომ ბუნებრივი სიკვდილი სრულიად უმტკივნეულოა, ადამიანი თანდათანობით ჩუმად მიიძინებს, სიცოცხლე თანდათანობათ ჩაქრება.

გამოდის, რომ ორგანიზმის სიცოცხლის ნორმული ხანგრძლიობა, ნორმული დღეგრძელობა—ეს არის დროის მანძილი მისი დაბადებიდან ბუნებრივ სიკვდილამდე.

ადამიანის სიცოცხლის ნორმული ხანგრძლიობა, ანუ ადამიანის ბუნებრივი დღეგრძელობა საბოლოოდ დადგენილად ვერ ჩაითვლება. არისტოტელეს დროიდან ცნობილია, რომ ვითომც, რაც უფრო დიდხანს იშრდება ცხოველური ორგანიზმი, მით უფრო დიდხანს ცოცხლობს ის. მიუხედავად იმისა, რომ ეს ყველა ცხოველის მიმართ არ მართლდება, მაინც ფიქტობენ, რომ ცხოველის ბუნებრივი სიცოცხლის ხანგრძლიობა 5—7-ჯერ (ზოგიერთის აზრით—8-ჯერ) უნდა აღემატებოდეს მისი ზრდის პერიოდს. ამის მიხედვით თვლიან, რომ ბუნებრივი დღეგრძელობა ადამიანისა, რომლის ზრდის პერიოდი 20—25 წელია, უნდა უდრიდეს 125—175 წელს, საშუალოდ 150 წელს. მართლაც, ყოფილა ცალკეული, თუმცა ძლიერ იშვიათი შემთხვევები, როცა ადამიანს უცოცხლია 150 წელი და გაცილებით მეტიც (მაგალითად, 185 წელი).

სახეობა ასე თუ ისე განსაზღვრავს ცხოველთა, მათ შორის ადამიანის, სიცოცხლის ბუნებრივ ხანგრძლიობას. სინამდვილეში ამ ბუნებრივი შესაძლებლობის განხორციელება სხვადასხვა ფაქტორით განპირობდება.

ადამიანის შესახებ, კერძოდ, ცნობილია, რომ ის ბიოსოციალური კატეგორიაა, ე. ი. არა მარტო ბიოლოგიური კატეგორიაა, არამედ სოციალურიც. ამიტომ ადამიანის ბუნებრივი დღეგრძელობა განპირობდება ბიოლოგიური და სოციალური ფაქტორების ურთიერთმოქმედებით, ამ უკანასკნელთა გამძლოლობით. აქედან ის გამოდის, რომ არ შეიძლება მსჯელობა ზოგადად ადამიანის ბუნებრივ დღეგრძელობაზე, არამედ აუცილებელია მსჯელობა ადამიანის ბუნებრივ დღეგრძელობაზე გარკვეული, კონკრეტული სო-

<sup>1</sup> მოხუცების პროცესს და მის მიზეზებს შეისწავლის მეცნიერების ცალკედარები—გერონტოლოგია (ბერძნულად გერონტოს მოხუცს ნიშნავს).

ციალურ-ეკონომიური ფორმაციის ხანაში — მონათმფლობელურში, ფეოდალურში, კაპიტალისტურში, სოციალისტურში.

ადამიანის სიცოცხლის საშუალო ხანგრძლივობის შესწავლა სხვადასხვა საზოგადოებრივი წყობის ეპოქაში ააშკარავებს მის გადიდებას თვითეულ მომდევნო ეპოქაში მკვეთრი ხახტომებით. ამას ხსნიან თვითეულ მომდევნო ეპოქაში ავადმყოფობათა (ძირითადად ანთებად და ინფექციურ ავადმყოფობათა) გამო სიკვდილობის ნახტომებითვე შემცირებით (უმთავრესად ახალგაზრდა ასაკობრივ ჯგუფებში). გამოდის, რომ სიცოცხლის ბუნებრივი ხანგრძლივობის შემოკლების ძირითადი მიზეზი ავადმყოფობა.

ავადმყოფობა სიცოცხლის, ადამიანის დღეგრძელობის მტერია, ის ამოკლებს ადამიანის სიცოცხლეს, ამოკლებს მის დღეგრძელობას. ამას ავადმყოფობა ახორციელებს ორი გზით: ან უშუალოდ შეუწყვეტს ადამიანს სიცოცხლეს, ანდა ადამიანის მიერ გადატანილი ავადმყოფობა აახლოებს, ასწრაფებს მოხუცების დაწყებას და განაპირობებს მოხუცების პროცესის სწრაფ მიმდინარეობას, რაც, გასაგებია, დღეგრძელობას ამოკლებს.

ცნობილია, რომ ავადმყოფობამ შეუმოკლა სიცოცხლე რუსი ხალხის, სხვა მოძმე სოციალისტური ერებისა და მსოფლიოს სხვა ხალხთა მრავალ უნიჭიერეს წარმომადგენელს.

ჩვენშიც, საქართველოში მრავალია ასეთი მაგალითი. ავადმყოფობისაგან 28 წლის ასაკში გარდაიცვალა საქართველოს უნიჭიერესი პოეტი ნიკოლოზ ბარათაშვილი. მხოლოდ 30 წელი იცოცხლა ცნობილმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ დანიელ ჭონქაძემ. ავადმყოფობისაგან 35 წლის ასაკში გარდაიცვალა მეფის რუსეთის დროინდელი საქართველოს გლეხობის ჭირვარამის ამსახველი მწერალი ეგნატე ნინოშვილი. სიკვდილის დროს მხოლოდ 31 წლის იყო გამოჩენილი მეცნიერი ფილოსოფოსი სოლომონ დოდაშვილი. 40 წლის ასაკში გარდაიცვალა ცნობილი მეცნიერი მათემატიკოსი ანდრია რაზმაძე. ახალგაზრდა, 43 წლის ასაკში, გარდაიცვალა გამოჩენილი კომპოზიტორი ვიქტორ დოლიძე. ახალგაზრდა ასაკში გარდაიცვალა აგრეთვე სხვა მრავალი ნიჭიერი ადამიანი, რომლებიც კიდევ ბევრ ფასდაუდებელ განძს შექმნიდნენ ხალხის, მეცნიერებისა და სახელმწიფოს საკეთილ-დღეოდ.

აი რატომ არის ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისა-

თვის, ბუნებრივი დღეგრძელობისათვის აუცილებელი მოსახლეობის დაცვა ავადმყოფობისაგან. და ასეთი დაცვა ფართოდ ხორციელდება ჩვენში მრავალგვარ სანიტარულ-ჰიგიენურ ლონისძიებათა საშუალებით.

ავადმყოფობის გარდა, ადამიანის სიცოცხლის ბუნებრივ ხან-გრძლიობას ამოკლებს ეგრეთ წოდებული ორთობიოზის (ორთობიოზი ბერძნულად წესიერ ცხოვრებას ნიშნავს) დარღვევა, ე. ი. პირიდი ჰიგიენის წესების დაუცველობა, ნორმული ცხოვრებისათვის აუცილებელი წესების დარღვევა. ადამიანის წესიერი, ნორმული ცხოვრება გულისხმობს, როგორც ცნობილია, შრომითი პროცესების რიტმსა და სწორ რეჟიმს, გონებრივი და ფიზიკური მუშაობის შეხამებას, ასაკის შესაფერისად შრომისა და ყოფაცხოვრების მოწესრიგებას, ფიზიკურ კულტურას, ზომიერებას შინაურ ცხოვრებაში და ა. შ.

ცნობილია, რომ ორთობიოზის დარღვევას ადგილი აქვს ან-ტაგონისტურ კლასობრივ საზოგადოებაში როგორც ხელმოკლე, ლარიბ, ისე შეძლებულ, მდიდარ კლასებში. ხელმოკლე კლასებში ასეთი დარღვევა გამოიწვევა მძიმე შრომით, ბუნებრივ მოთხოვნილებათა სრული დაკმაყოფილების შეუძლებლობით, შეძლებულ კლასებში კი—უსაქმურობით, ყველაფერში მეტისმეტობით, მოთხოვნილებათა გაუკულმართებით.

ავადმყოფობისა და ორთობიოზის დარღვევის გარდა, როგორც წერენ, ადამიანის დღეგრძელობის საკითხის შემსწავლელნი, ადამიანის ბუნებრივი სიცოცხლის ხანგრძლიობას ამოკლებს სევდა, დარდი, მჭუხარება, სასოწარკვეთილება, შიში, სიმხდალე, შური, სიძულვილი. ჩამოთვლილი ფსიქიკური განცდანი მოქმედებენ ორგანიზმები, აქვეითებენ მის გამძლეობას, ხელს უწყობს მის ნაადრევად გაცვეთას და ნაადრევად მოხუცებას.

ცნობილია, რომ, გარდა ზემოჩამოთვლილი ფაქტორებისა, ადამიანის დღეგრძელობას ამოკლებს სიზარმაცე და უსაქმურობა. ზარმაცი, უსაქმური ადამიანი არ შეიძლება იყოს დღეგრძელი, ის ვერ მიაღწევს ღრმა მოხუცებამდე.

ახლა ისიც ცნობილია, რომ ნერვული სისტემის, თავის ტვინის ქერქის ფუნქციურ მდგომარეობას დიდი, წამყვანი მნიშვნელობა აქვს ადამიანის დღეგრძელობისათვის. ძლიერი, მაგარი ნერვული სისტემა ხელს უწყობს დღეგრძელობას, და პირიქით.

უკიდურესობანი — ნერვული სისტემის გადაძაბვა და ნაკლები მოქმედება — ხელს უწყობენ ორგანიზმის ნაადრევად დაჭრნობას, მოხუცებას, მაგრამ თვლიან, რომ ნაკლები მოქმედება მაინც უფრო მეტად იწვევს მოხუცებას.

რუსულ და უცხოურ სპეციალურ წყაროებში ვხვდებით ისეთ ადამიანთა დღეგრძელობის ძალიან ბევრ მაგალითს, რომლებიც გამრჯენი იყვნენ, განსაკუთრებით აქტიურად მუშაობდნენ თავიანთი სიცოცხლის განმავლობაში, მაგრამ მაინც არც ერთ მათგანს არ მიუღწევია ნავარაუდევ ბუნებრივ დღეგრძელობამდე.

ჩვენშიც, საქართველოშიც არის ბევრი ასეთი მაგალითი. კომუნისტური პარტიისა და მუშათა საერთაშორისო მოძრაობის გამოჩენილმა მოლგაწემ მიხა (მიხეილ გრიგოლის-ძე) ცხაჭაიძე იცოცხლა 85 წელი. ცნობილმა პუბლიცისტმა და საზოგადო მოლვაწემ ნიკო ნიკოლაძემ იცოცხლა 85 წელი. გამოჩენილმა ისტორიკოსმა ალექსანდრე ცაგარელმა იცოცხლა აგრეთვე 85 წელი. გამოჩენილი მწერალი ქალი ეკატერინე გაბაშვილი გარდაიცვალა 87 წლის ასაკში. ცნობილმა ისტორიკოსმა ექვთიმე თაყაიშვილმა იცოცხლა 90 წელი. მრავალ ომგადახდილმა გამრჯე სახელმწიფო მოლგაწემ ერეკლე მეორემ იცოცხლა 80 წელი. ქართული მუსიკის კლასიკოსი, კომპოზიტორი დიმიტრი არაყიშვილი გარდაიცვალა 80 წლის ასაკში.

დღეგრძელობისათვის ბრძოლა გულისხმობს ნაადრევი მოხუცების თავიდან აცილებისათვის, მოხუცების რაც შეიძლება უფრო გვიან დაწყებისა და აქტიური, საქმიანი, გამრჯელ მოხუცებულობისათვის ბრძოლას.

ადამიანის დღეგრძელობა, აქტიური, გამრჯე და არა დაძაბუნებული, ულონო მოხუცებულობა სოციალური მნიშვნელობის, სოციალურად სასარგებლო მოვლენად ითვლება.

ხანშიშესულ ადამიანებს, ძველ კადრებს ი. ბ. სტალინი თვლიდა პარტიისა და სახელმწიფოს დიდ სიმდიდრედ და ამბობდა, რომ ეს კადრები ჩვენ უფრო ნაკლები გვყავს, ვიდრე საჭიროა. იგი პარტიისა და სახელმწიფოს ხელმძღვანელ მუშაობაში საჭიროდ თვლიდა ძველი და ახალი კადრების შეერთებას, იმიტომ რომ, როგორც სამართლიანად ამბობენ, ხანშიშესულ ადამიანებს, ძველ კადრებს აქვთ ის, რაც არა აქვთ იხალგაზრდებს, ახალგაზრდა კადრებს; მათ, სახელდობრ, აქვთ: სიცოცხლის გრძელ მანძილზე

შეძენილი დიდი გამოცდილება და ცოდნა, ამ გამოცდილებისა და ცოდნის საფუძველზე კი შეუძლია რთულ მოვლენებსა და ცვალებად სიტუაციებში ღრმად ჩაწვდომა და სწორი ორიენტაცია, განხოგადება, ე. ი. ცალკეული ფაქტებისა და მოვლენების მიხედვით საერთო სწორი დებულების გამომუშავება, მართებული დასკვნის გაკეთება, მოვლენების სწორი ანალიზი, მათი ელემენტებად დაყოფა და სწორი სინთეზი, ერთმანეთთან დაკავშირებული ელემენტებისაგან მთლიანის, ერთიანობის შედგენა და სხვ.

აქედან ცხადია, რა განუზომელი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვთ დიდი ცოდნითა და გამოცდილებით აღჭურვილ ადამიანებს, რა განუზომელი მნიშვნელობა აქვთ ასეთ ადამიანებს კომუნიზმის მშენებლობისათვის. ეს ცოდნა და გამოცდილება ცხოვრებაში თანდათანობით შეიძინება. ამიტომ, რაც უფრო დიდხანს ცოცხლობს ადამიანი, მით უფრო მდიდრდება ის ცოდნითა და გამოცდილებით. აქედან გასაგებია, თუ რატომ ასე დიდად ზრუნავენ ჩვენში, სოციალისტურ სახელმწიფოში ადამიანის სიცოცხლის გახანგრძლივებისათვის. დაგროვილი ცოდნისა და გამოცდილების მაქსიმალური სარგებლიანობით გამოყენებისათვის საჭიროა ხანგრძლივი სიცოცხლე, დლეგრძელობა, საჭიროა შრომისუნარიანი, გამრჯე, როგორც ამბობენ, აქტიური მოხუცებულობა. მოხუცებულ ადამიანთა მიერ დაგროვილი ცოდნა-გამოცდილება არ უნდა დაიკარგოს, ის მთლიანად უნდა აითვისონ ახალგაზრდა ადამიანებმა.

ცნობილია, რომ მრავალი ათასი წლის განმავლობაში ადამიანი იძულებული იყო თვითონ ეზრუნა თავის ჯანმრთელობაზე, თვითონ ეზრუნა ავადმყოფობის არიდებაზე, თუ დაავადდებოდა— თვითონ ეზრუნა მკურნალობაზე. ყველაფერი ეს მის კერძო საქმეს წარმოადგენდა. ამავე დროს მოსახლეობის დიდი უმრავლესობა ასეთ შესაძლებლობას სრულიად მოკლებული იყო. მედიცინა ემსახურებოდა ცალკეულ შეძლებულ პირებს, საზოგადოების შეძლებულ ფენებს.

სულ სხვაა, ამასთან პრინციპული სრულიად განსხვავებული სურათია ჩვენს დიად სამშობლოში. სოციალიზმის პირობებში მედიცინა ემსახურება ხალხს, მშრომელებს, მთელ მოსახლეობას, ის ემსახურება მთელ საზოგადოებას, სახელმწიფოს. სახელმწიფო ზრუნავს იმისათვის, რომ აარიდოს ადამიანს, საბჭოთა მოქალაქეს

ავადმყოფობა, ზრუნავს მის პროფილაქტიკაზე, ავადმყოფი მოქალაქის მკურნალობაზე, გაჯანმრთელებაზე. ჩვენს ქვეყანაში არსებობს მშრომელთა ჯანმრთელობის დაცვის ყველაზე უფრო მოწინავე სახელმწიფოებრივი ორგანიზაცია, რომელიც უზრუნველყოფს ავადმყოფობისაგან თვითეული მოქალაქისა და მთელი მოსახლეობის მაქსიმალურად არიდებას, დაცვას, ავადმყოფთა უფასოდ მკურნალობას მედიცინის სულ უკანასკნელი მიღწევების გამოყენებით.

---



ავტორი — გლადიმერ ყაფლანის ძე შლენტი  
რედაქტორი — სსრ კავშირის მედიცინის  
მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი  
ა. ზურაბაშვილი

---

გადაეცა წარმოებას 4/V-55 წ., ხელმოწერილია დასაბუჭიდად 15/VI-55 წ.,  
ანაწყობის ზომა  $6 \times 9\frac{1}{2}$ , ქაღალდის ზომა  $60 \times 84$ . ნაბეჭდ ფორმათა  
რაოდენობა 3,0, შეკვეთის № 645, ტირაჟი 15.000, უე 01697.

---

პოლიგრაფიული მინისტრი „კომუნისტი“. თბილისი, ლენინის ქ. № 14.  
Полиграфкомбинат „Коммунисти“. Тбилиси, ул. Ленина № 14.

ФАБО 1 856.

Действительный член АН  
Грузинской ССР  
**В. К. ЖГЕНТИ**

ЗДОРОВЬЕ, БОЛЕЗНЬ И  
ВЫЗДОРОВЛЕНИЕ  
(На грузинском языке)

Издание Общества по распространению  
политических и научных знаний  
Грузинской ССР  
Тбилиси  
1955